გაზეთი გამოდის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

# სამტრედიის მაცნე

N31 (9210) 31 ოქტომბერი. 2016 წელი ფასი 50 თეთრი

## თუკი ვინმეს მხარი დაუჭირეს ამ არჩევნებში, მე განსაკუთრებით




## 5 ნოემბერი _ ეს ჩვენი დღეა!

5

86



## რეიტინგი ოქრო და პირველი ადგილი იმერეთში




## პირველი მრავალპარტიული არჩევნებიდან 26 წელი გავიდა




„ვისაც რაიმეს უნარი აქვს"... რჩევა მცირე მეწარმეებს




გზა ევროპისაკენ _ ყმაწვილი მარგიანი საქართველოს ჩემპიონი გახდა

## კომპეტენტურობისა და პოლიტიკურობის ზღვარზე

## სკანდალი სკანდალის შემდეგ

## როცა სიფრთხილეს თავი განსაკუთრებით აქ სტკივა!

## თქვენი კითხვის დასმამდე ეს საკითხი გადაწყვეტილი იყო

# იანეთის მე-9 უბანი ზამთარს გაზიფიცირებული შეხვდება





იმერეთში მიმდინარე და განხორციელებულ პროექტებზე იმსჯელეს 24 ოქტომბერს რეგიონულ თათბირზე ხონის მუნიციპალიტეტში. იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა გივი ჭიჭინაძემ, პირველმა მოადგილემ პაატა ნადირაძემ და ვიცე-გუბერნატორმა იოსებ ხახალეიშვილმა გამგებლებისგან მიმდინარე საკითხების შესახებ ინფორმაციები მოისმინეს. სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამგებლის პირველი მოადგილე, დავით ბახტაძე წარმოადგენდა.

მხარის გუბერნატორმა 12-ვე მუნიციპალიტეტის გამგებლებსა და წარმომადგენლებს როგორც ადგილობრივი, ასევე რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსებული პროექტებისა და სტიქიის შედეგად მიმდინარე სამუშაოების მონიტორინგი დაავალა.

რეგიონულ თათბირზე ზამთრის სეზონის მზადებასთან დაკავშირებული საკითხებიც განიხილეს. ასევე მოისმინეს ინფორმაციები გაზიფიცირების, სურსათის უვნებლობის და სატყეო საკითხებთან დაკავშირებით.

''სამტრედიის მაცნე'' ხონში გასვლითი რეგიონული თათბირითა და უშუალოდ იმ საკითხით დაინტერესდა, რომელმაც 24 ოქტომბრის სამთავრობო შეხვედრაზე გაიჟღერა, კერძოდ, იანეთის მე-9 უბანში გაზიფიცირების თემით.

იანეთის მე-9 უბანი არ იყო გაზიფიცირებული დასახლება. თითქმის ერთადერთია სამტრედიის მუნიციპალიტეტში, სადაც გაზიფიცირების საკითხი არ იყო გადაჭრილი. რეგიონულ თათბირზე ''სოკარ-გაზის'' წარმომადგენელმა დავით ჯაიანმა ისაუბრა იქ გაზიფიცირების შესახებ. ითქვა, რომ უშუალოდ ენერგეტიკის სამინისტროს მხარდაჭერით განხორციელდა გაზიფიცირების პროექტი იანეთის მე-9 უბანში. ამჟამად აქტიურად მიმდინარეობს სამუშაოები და როგორც ''სოკარ-გაზის'' წარმომადგენელი დაგვპირდა და პირადად ჩემს შეკითხვას გასცა პასუხი, იანეთის მე-9 უბნის მოსახლეობა ზამთრის სეზონს უკვე გაზიფიცირებული შეხვდება''. _ განუცხადა ''სამტრედიის მაცნეს'' ხონიდან დაბრუნებულმა დავით ბახტაძემ.

***ნინო ნანიტაშვილი***

# როცა სიფრთხილეს თავი განსაკუთრებით არ სტკივა!

## თქვენი კითხვის დასმამდე ეს საკითხი გადაწყვეტილი იყო

**თეა ბაბუნაშვილი**





რამდენიმე წუთში, მას შემდეგ, რაც თავად გადავრჩი ''სახლი თანადგომას'' მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ არც თუ ისე პატარა ''ხაფანგში'' ჩავარდნას, ერთი ქალბატონიც ვიხსენი ამ უსიამოვნებისგან. არამარტო ''სახლი თანადგომას'', სოციალური მომსახურების სააგენტოში შემსვლელებიც ხშირად, და ძალიან ხშირადაც, უკვე კარგა ხანია ხმამაღლა გამოთქვამენ უკმაყოფილებას ჩავარდნილი იატაკის გამო, ფეხის დაბიჯებამდე რომ არაფერი ეტყობა ჩავარდნისა. არადა, როგორც გვითხრეს, მის ქვემოთ, დაახლოებით, მეტრ-ნახევარზე სიცარიელეა და წყალი დგას. ასე რომ, ამ ადგილზე სიფრთხილეს განსაკუთრებით არ სტკივა თავი!

ჭერის ცნობილი ჩამოვარდნისა და ხელოვანთა დარბაზში წვიმის ფაქტის შემდეგ ''სახელგატეხილმა ჟურნალისტმა'' მუნიციპალიტეტის გამგებელი, რომ ამ საკითხზე რეპლიკის დაწერას ვაპირებდი, საქმის კურსში თავად ჩავაყენე. ამჯერად, ჩვენს საუბარს შედარებით რბილი ელფერი მიეცა და პასუხმაც არ დააყოვნა: ''გაკეთდება! პრობლემა ჩვენთვის ცნობილია, უკვე ყველა შესაბამისი სამუშაო ჩატარებული აქვს ინფრასტრუქტურის სამსახურს, პროექტი მზადაა. დეტალებზე შესყიდვების სამსახური გაგცემთ პასუხს. სამწუხაროდ, აგვიანდება ამ პროცესს, იმიტომ, რომ ჩვენ კანონს ვერ ვარღვევთ. სხვანაირად რომ შეიძლებოდეს, მაშინვე გავაკეთებდით, ან მანამდე! თქვენი კითხვის დასმამდე, ეს საკითხი გადაწყვეტილი იყო!'' რაც შეეხება იმას, რომ ქალბატონი ჩავარდნისგან ვიხსენი, ვალერი ფოცხვერიამ მსუბუქი ხუმრობით საქციელი მომიწონა _ ''კარგია. თქვენ ჟურნალისტი ვალდებული ხართ ადამიანი გადაარჩინოთ.''

ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ზურაბ გოგია ადასტურებს, რომ: ''ხარჯთაღრიცხვა უკვე შედგენილია. აღნიშნული იატაკისა და კიბის უჯრედის შეკეთება დღგ-ს გათვალისწინებით, 5099 ლარი დაჯდება. სახელდობრ, კიბის უჯრედი 1862, პირველი სართულის იატაკი კი 2459 ლარი. ეს საერთო ჯამში 4321 ლარს შეადგენს, დღგ-ს გარეშე. რაც შეეხება იმას, რომ ჩავარდნილი იატაკის ქვეშ სიცარიელეა და რამდენ მეტრზე, ეს ჯერ არავინ იცის. ვვარაუდობთ, რომ იქ სარდაფია და წყალი დგას. ყველაფერი იატაკის აყრის შემდეგ გაირკვევა.'' გარდა ამისა, როგორც მან აღნიშნა, ''ჩვენი სამსახურის მიერ, ჯერ კიდევ რვა თვის წინ გახლდათ მომზადებული პროექტი, ხელოვანთა დარბაზში გაფუჭებული იატაკის შესაკეთებლად. ისიც გადაცემულია შესყიდვების სამსახურზე და შესაბამისი პროცედურების გავლის შემდეგ სამუშაოები იქაც დაიწყება.''

როგორც გამგებელმა განმარტა, ''სამტრედიის მაცნეს'' დერეფნის ჩაკეტილი კარი, რომელსაც იმავდროულად სახანძრო უსაფრთხოების დანიშნულება აქვს, მალე გაიღება, რადგან აქ ჩამოვარდნილი ჭერი სულ მალე შეკეთდება.

# სკანდალი სკანდალის შემდეგ


20:10 (07.08.2016)

ჯერ კიდევ სამი თვის წინ, 22 წლის დემურ სტურუას თვითმკვლელობა ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი თემა იყო საქართველოში. გარდაცვლილის ოჯახი ახალგაზრდის თვითმკვლელობაში პოლიციელ გოდერძი თევზაძეს ადანაშაულებდა. ხმამაღალი გამოსვლებით სამტრედიის პოლიციის რაიონული განყოფილების წინ, მედიაში გაკეთებული განცხადებებით, ოჯახი და არასამთავრობო ორგანიზაციები, ზოგადად, პოლიციის დისკრიმინაციას ხელაღებით ცდილობდნენ. გამოხმაურება, რა თქმა უნდა, შინაგან საქმეთა ზემდგომი სამსახურებისა და პირადად მინისტრ გიორგი მღებრიშვილის მხრიდან ჰქონდა აღნიშნულ საქმეს. ბრალდებული გოდერძი თევზაძე, რომელიც თავს დამნაშავედ არ თვლის, დაახლოებით, ერთ თვეში ჩაბარდა პოლიციას. მას წინასწარი პატიმრობა შეეფარდა. ბრალდებული დღემდე შიმშილობს წინასწარი დაკავების იზოლატორში.

ამ სკანდალის შემდეგ, არანაკლებ სკანდალურია, დემურ სტურუას დედის, ნონა ჯოჯუას ახალი განცხადება, რომელიც ამჯერად მისი შვილის სუიციდამდე მიყვანაში გოდერძი თევზაძეს აღარ ადანაშაულებს და აცხადებს: ''ხუთი ფაქტია დაფიქსირებული იმისა, რომ ვიღაც დადის და მაშინებს. უკვე არა მგონია, გოდერძი მკვლელი იყოს. ვფიქრობ, წერილი სიკვდილამდე ძალდატანებით დააწერინეს ჩემს შვილს. ფურცლის წინა მხარეს არეულად წერია, მეორე მხარეს დალაგებულია ხელწერა. აქამდე გამოძიებას ახალი არაფერი აქვს საქმის ირგვლივ. მე ნამდვილი მკვლელის დასჯა მინდა.''

ერთადერთი ნივთმტკიცება სტურუას საქმეში, გარდაცვალებამდე დაწერილი წერილი, დღემდე ერთადერთ ნივთმტკიცებად რჩება. თუმცა, ბრალდებულის ადვოკატი ლედი ტუკვაძე აცხადებს, რომ: ''ყველაზე მეტად დაზარალებული მხარე უნდა იყოს დაინტერესებული, რომ სიმართლე გაირკვეს. მაქვს კითხვები, რატომ დღემდე არ დგინდება იმ პიროვნების ვინაობა, ვინც დემურ სტურუას ახლდა ლომბარდში, რატომ არ არის ამოღებული მისი მობილური ტელეფონი და საერთოდ, ვინ არიან ის ადამიანები, ვინც აქამდე აშინებენ გარდაცვლილის დედას?''

დემურ სტურუას ბიცოლა დარიკო ჯაში ეჭვობს, რომ გარდაცვლილის დედის მიერ ჩვენების შეცვლის მიზეზი მატერიალური სარგებელი შეიძლება იყოს. ''სად გაექცევა დემურიკოს წერილს, ექსპერტიზის დასკვნას!'' _ აცხადებს იგი.

სამტრედიის პროკურატურაში ნონა ჯოჯუა უკვე დაჰკითხეს. ფაქტს მთავარი პროკურორი ირაკლი შოთაძეც გამოეხმაურა: ''გამოძიებას ჰყავს ბრალდებული და ჩვენ საზოგადოება ამის თაობაზე საქმის კურსში ჩავაყენეთ. ამ ეტაპზე მსგავსი განცხადებების ნამდვილობის საფუძველი არ არსებობს. ჩვენ შევეხმიანეთ დაზარალებულ მხარეს და იგი დაიკითხება. გამოძიება ამჟამადაც მუშაობს აღნიშნულ საქმეზე.''

დემურ სტურუას მეგობარი, გვარად თევზაძე, დამნაშავედ კვლავ პოლიციელს მიიჩნევს და თავდაპირველ ვერსიას ეთანხმება. მოგეხსენებათ, იგი არაერთგზის ზეწოლაში თავადაც ადანაშაულებდა დემურ სტურუას. იგი თვლის, რომ გარდაცვლილის დედა დააშინეს.

ცხადია, გამოძიება კვლავ მიმდინარეობს, თუმცა საქმის ახალი დეტალი გარდაცვლილის დედის სკანდალურად ქცეული ჩვენების სკანდალურად შეცვლაა.

***თეა ბაბუნაშვილი***

# თუკი ვინმეს მხარი დაუჭირეს ამ არჩევნებში, მე განსაკუთრებით

ქეთევან ჭელიძე

***8 ოქტომბერს თითქმის მუდმივ საარჩევნო რეჟიმში მყოფი ჩვენი მოსახლეობა ერთხელ კიდევ მივიდა საარჩევნო ყუთებთან, მათ შორის არჩევნების მიმართ სკეპტიკურად განწყობილნიც კი.***

***მოქალაქეობრივივალის მოხდა ის მუხტია, პოზიციაა, თუ რაც გნებავთ, ის დაარქვით, მონაწილეობისაკენ რომ უბიძგებს ადამიანებს. არც წინასაარჩევნო პერიოდში და არც შემდეგ ახალი არაფერი ხდება _ პარტიების მიერ შემოთავაზებული კანდიდატები და მეტ-ნაკლები სიყვარულისა და ამბიციების დემონსტრირება ქვეყნის თუ საკუთარი თავის მიმართ. ასეთ დროს ძნელია, სწორი არჩევანის გაკეთება, მით უფრო გადაუჭრელი საკითხების სიმრავლის ფონზე, როცა სხვა არაფერი რჩება, თუ არა ხავსივით მოეჭიდო არჩევნებს. ამ შემთხვევაშიც კი სამტრედიელების დიდ ნაწილს სჯერა თავისი რჩეულის, ამის საბაბი მისი შრომით, ძიებით, ქველმოქმედებით, ქვეყნისადმი ერთგულებით განვლილი ცხოვრებაა.***

***ბატონ გია მიქელაძეს განსაკუთრებული წარდგენა ამჯერად არც ჩვენი გაზეთის მკითხველისთვის სჭირდება, საპარლამენტო არჩევნებში მან ხმების 57,48 პროცენტი მოიპოვა. 14 824 ამომრჩეველს და კიდევ იმათ, ვინც მას მხარი არ დაუჭირა, გვერდით დგომას ჰპირდება. "ჩემი გამარჯვებით სამტრედიაში დამარცხებულები არ იქნებიან!" _ ფრაზა, რომელიც წინასაარჩევნოდ ყოველ მის გამოსვლაში დომინირებდა.***

***საქმე ბევრი აქვს დეპუტატს პარლამენტშიც და ბიზნესშიც. ამომრჩეველს ეიმედება იგი. ამ ნდობისათვის მადლიერებას, დაპირებისამებრ, ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის სასიკეთო საქმეების კეთებით შეეცდება. როგორ? ამას ნაწილობრივ მასთან ინტერვიუთი გაიგებთ.***

**_ სამტრედია იმ რამდენიმე მუნიციპალიტეტს შორისაა, სადაც საპარლამენტო არჩევნების მეორე ტურის ჩატარება საჭირო არ გახდა. როგორც ჩანს, ამომრჩევლებმა, გარდა იმისა, რომ სახელისუფლებო პარტიის კანდიდატი ბრძანდებოდით, თქვენს მიერ წარსულში გაკეთებული საქმეებიც არ დაივიწყეს. რა განცდაა თქვენთვის გამარჯვებულის პოზიციაში ყოფნა, ფაქტს როგორ შეაფასებთ?**

_ ძალიან დიდი განცდაა. მე მქონდა სურვილი, პარლამენტარი გავმხდარიყავი. თუკი ვინმეს მხარი დაუჭირეს ამ არჩევნებში, მე განსაკუთრებით. ამომრჩევლის უმრავლესობამ მომცა ხმა. სულ ვფიქრობ, როგორ ვუპასუხო ამ ხალხს. შემიძლია, ხმამაღლა ვთქვა, რომ ეს იყო ჭეშმარიტი არჩევნები, როგორიც არსად ჩატარებულა. 6 ოქტომბერს ჩემთან შესახვედრად ზღვა ხალხი შეიკრიბა. ნამდვილად არ ველოდი. 7 ათასამდე კაცი რომ დავინახე, ცოტა არ იყოს დავიბენი. იმ დროს, როცა მოსავალია ასაღები, ადამიანები შენს მხარდასაჭერად მოდიან. ჩემი კომპეტენციის, ჩემი შესაძლებლობების ფარგლებში, მათ გვერდით დავუდგები. არჩევნების წინ სოფლებში დავდიოდი, ქუჩებში, კორპუსებში ადამიანებს ვხვდებოდი, უიმედობას ვხედავდი. უიმედობა კი ძალიან ცუდი რამაა. მე მათ ეს განცდა უნდა გავუქარწყლო და ჩემდამი ნდობას განსაკუთრებული საქმით ვუპასუხო.

**_ ბატონო გია, შეხვედრების დროს რამდენჯერმე აღნიშნეთ, რომ 2003 წელს საკუთარი ნება-სურვილის გარეშე იყრიდით კენჭს არჩევნებში. ამჯერად ეს თქვენი გადაწყვეტილებით მოხდა. კონკრეტულად რა მიზეზი, რა აუცილებლობაა წარმატებულ ბიზნესმენს საპარლამენტო არჩევნებში მიგეღოთ მონაწილეობა?**

_ მსოფლიოში სად არ ვყოფილვარ, სად არ მიმუშავია, ბიზნესში სერიოზული წარმატებებისთვის მიმიღწევია. როდესაც 2012 წელს მოვიდა ხელისუფლება, რომელმაც ქვეყანა დემოკრატიული გზით წაიყვანა, მივხვდი, რომ ბევრი რამის გაკეთება შეიძლებოდა, ჩემი გამოცდილება, ჩემი ბიზნესშესაძლებლობები და კავშირები ჩემი ქვეყნის და არა მარტო სამტრედიის სასარგებლოდ უნდა გამომეყენებინა. ახლა, როცა ქვეყანაში აღმშენებლობა იწყება, არ შემეძლო, ამისთვის შორიდან მეცქირა. ვინმემ არ იფიქროს, რომ მე მარტო ბიზნესმენი ვარ. მე მაქვს სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობის გამოცდილება. რა თქმა უნდა, პარლამენტში კანონშემოქმედებით პროცესში აქტიურად ჩავერთვები და ვეცდები, ისეთი კანონები მივიღოთ, რომელიც დღეს განსაკუთრებით სჭირდება ჩვენს ქვეყანას.

**_ კერძოდ, რა საკანონმდებლო ცვლილებები გაქვთ მხედველობაში?**

_ ბიზნესის განვითარების, მეწარმეობის განვითარების თვალსაზრისით სჭირდება კანონებს პარლამენტში შეტანა. როგორც ჩანს, გასულ 4 წელიწადში კანონები მთლად ისეთი მოქნილი არ იყო, კერძო ბიზნესი განვითარებულიყო. საშუალო ფენა ჯერ კიდევ არ გვყავს ქვეყანაში.

**ყველაფერი ერთმანეთზეა გადაბმული. საიდან მოიტან დოლარს, თუ არ იქნა ექსპორტ-იმპორტი. ერთი ჩემი საწარმოა სამტრედიაში, რომელიც ავამუშავე და მისი პროდუქცია საზღვარგარეთ გადის. თუ საწარმოები არ შეიქმნა, თუ პროდუქცია არ გამოვუშვით და ბიზნესი არ განვითარდა, ქვეყანა წინ ვერ წავა, ეკონომიკა ვერ გაძლიერდება.**

პრაქტიკულად, ინფრასტრუქტურა 80 პროცენტით მოწესრიგებულია საქართველოში: გზა, დენი, წყალი. ძირითადი პრობლემა დასაქმებაა და ამ მიმართულებით ბევრი საკანონმდებლო სამუშაოა ჩასატარებელი. ველოსიპედის გამოგონება არაა საჭირო, სხვა ქვეყნების გამოცდილება უნდა გავიზიაროთ, თუ როგორ შევუწყოთ ხელი ბიზნესს და როგორ განვავითაროთ იგი. განსაკუთრებით როგორ განვავითაროთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება, გადამუშავება და შემდეგ რეალიზება.

ჩემი გადაწყვეტილება, პარლამენტარი გავმხდარიყავი, სწორედ ის არის, ამ მიმართულებით შევასრულო განსაკუთრებული როლი. ასევე ვიმუშავებ ტერიტორიების დაბრუნების, ევროკავშირთან ურთიერთობების კიდევ უფრო გაუმჯობესებისა და განმტკიცების საკითხებზეც და სხვა.

**_ იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტში თქვენს მიერ დაყენებულ მნიშვნელოვან საკითხებს ნება ზემოდან არ ექნა, რას გააკეთებს ამომრჩეველისთვის მიცემული სიტყვის შესასრულებლად დეპუტატი გია მიქელაძე?**

_ ჩემთვის "ნება ზემოდან" არ არსებობს. გია მიქელაძეს ასე არ უცხოვრია. მე ჩემით მოვედი, ხმა 15 ათასამდე ადამიანმა მომცა, ეს ძალიან დიდი მხარდაჭერაა და პასუხს ვაგებ მათ წინაშე.

ჩემს შეტანილ საკითხებს მხარდაჭერა არ ექნეს, არ მგონია. შეიძლება, განსხვავებული შეხედულება გვქონდეს, მაგრამ მხარი არ დაუჭირონ, არ მოხდება და ვერ მოხდება. მე გამოვნახავ ხელისუფლებასთან საერთო ენას. ზუსტად იმიტომ ვიყარე კენჭი, რომ ჩემს ქვეყანას ნორმალური მთავრობა ჰყავს, განსაკუთრებით ძალიან კარგი პრემიერ-მინისტრი, გიორგი კვირიკაშვილი. მჯერა, კარგ გუნდსაც ჩამოაყალიბებს. ის, რომ მხარი არ დაუჭირონ ისეთ წინადადებებს, რომლებიც ქვეყნის განვითარებას გამოადგება, ჩემთვის წარმოუდგენელია. ვფიქრობ, რომ ჩემი საქმიანობა წარმატებული იქნება პარლამენტში არა მარტო სამტრედიისთვის, საქართველოსთვისაც. ერთ წელიწადში მე ჩამოვალ, შევკრებ სამტრედიელებს და ანგარიშს ჩავაბარებ, თუ რა გავაკეთე.



**_ ამის გარდა, ექნება თუ არა ამომრჩეველს დეპუტატთან სისტემატურად შეხვედრის შესაძლებლობა?**

_ წინასაარჩევნოდ სამტრედიელებისგან ხშირად ვისმენდი უკმაყოფილებას, რომ დეპუტატებს ვერ ნახულობდნენ. მე ამას არ დავუშვებ, ყოველთვის ჩამოვალ, რომ არ ელოდებიან, იმ დროს მივალ მათთან. როცა რამეს ვერ გააკეთებ, უნდა მიხვიდე ადამიანებთან და აუხსნა, რაშია საქმე. "ქართული ოცნების" მინუსი, ფაქტობრივად, ეს იყო არა მარტო სამტრედიაში, ქვეყნის მასშტაბითაც. რაც გააკეთეს, ისიც კი არ იცის ხალხმა, და არ უხსნიდნენ, რატომ ვერ გაკეთდა. მთელი 4 წლის განმავლობაში აქცენტი გადაჰქონდათ ბიძინა ივანიშვილზე. მან კი რამდენი გაუკეთა ამ ქვეყანას!.. რამდენი შეძლო!..

საქართველო დღეს გაცილებით უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი... ყველგან კრიზისია. ირგვლივ ასეთი მდგომარეობა გავლენას ჩვენზეც ახდენს, მაგრამ ეკონომიკური თვალსაზრისით რომ უკეთეს სიტუაციაში ვართ, ვისაც არ სჯერა, შემიძლია დავარწმუნო. ხალხს ეს უნდა აუხსნა.

**_ დღევანდელი პირობებიდან გამომდინარე, ძნელად რომ ვინმემ დაიჯეროს ჩვენი ეკონომიკური უპირატესობა.**

**ბიზნესის განვითარების, მეწარმეობის განვითარების თვალსაზრისით სჭირდება კანონებს პარლამენტში შეტანა. როგორც ჩანს, გასულ 4 წელიწადში კანონები მთლად ისეთი მოქნილი არ იყო, კერძო ბიზნესი განვითარებულიყო. საშუალო ფენა ჯერ კიდევ არ გვყავს ქვეყანაში.**

_ ყველაფერი ერთმანეთზეა გადაბმული. საიდან მოიტან დოლარს, თუ არ იქნა ექსპორტ-იმპორტი. ერთი ჩემი საწარმოა სამტრედიაში, რომელიც ავამუშავე და მისი პროდუქცია საზღვარგარეთ გადის. თუ საწარმოები არ შეიქმნა, თუ პროდუქცია არ გამოვუშვით და ბიზნესი არ განვითარდა, ქვეყანა წინ ვერ წავა, ეკონომიკა ვერ გაძლიერდება.

არ ეწყინოთ რესტორნის მეპატრონეებს და არც მიმტანებს, როგორი პურმარილი ვიცით, სართულები დგას, მაგრამ ნახეთ, როგორია მომსახურების დონე, ნულამდეა დაყვანილი. მარტო ამ თვალსაზრისითაც ძალიან ბევრია სამუშაო, უცხოელები ჩამოდიან და სხვა მოთხოვნებია. მომავალი თაობა, ახალგაზრდობა თუ არ მომზადდა, შრომის ბაზარზე მიწოდება თუ არ იქნა, არ შეიძლება. ხვალ რომ მოთხოვნა გამოაცხადონ სპეციალისტებზე, არიან?! ტურიზმის განვითარებაზე როცა ვსაუბრობთ, სათანადო კადრებია საჭირო. წელს რომ იყო საქართველოში ტურისტი, ამდენი არასდროს ყოფილა. ბათუმში რომ ბულვარია, ისეთი მოწყობილი და ლამაზი არსად, არც ერთ ქვეყანაში არ მინახავს, ან რა სასტუმროები შენდება! ახლა მომსახურებაზე უნდა ვიზრუნოთ. ამიტომაა აუცილებელი, პროფესიული სასწავლებლები შეიქმნას. მე ყველაფერს გავაკეთებ, რომ ასეთი სასწავლებელი სამტრედიაშიც არსებობდეს.

**_ სამტრედიაში გვქონდა ასეთი სასწავლებელი, მაგრამ, რატომღაც, გააუქმეს. მის აღდგენას დღემდე ცდილობენ, ვისაც შეიძლებოდა, ყველას მიმართეს...**

**ჩემთვის "ნება ზემოდან" არ არსებობს. გია მიქელაძეს ასე არ უცხოვრია. მე ჩემით მოვედი, ხმა 15 ათასამდე ადამიანმა მომცა, ეს ძალიან დიდი მხარდაჭერაა და პასუხს ვაგებ მათ წინაშე.**

**ჩემს შეტანილ საკითხებს მხარდაჭერა არ ექნეს, არ მგონია. შეიძლება, განსხვავებული შეხედულება გვქონდეს, მაგრამ მხარი არ დაუჭირონ, არ მოხდება და ვერ მოხდება. მე გამოვნახავ ხელისუფლებასთან საერთო ენას.**

_ ჩემთანაც იყვნენ მოსულები. მე დავაყენებ ამ საკითხს და როგორმე დადებითად უნდა გადავწყვიტოთ. სხვათა შორის, მეც ეს სასწავლებელი დავამთავრე. პრემიერ-მინისტრს უნდა ვუთხრა ამ სასწავლებლის შესახებ. აუცილებლად უნდა აღდგეს იგი სხვა ფორმით და თანამედროვე პროფესიებით. ალბათ, ამისთვის კვალიფიციური მასწავლებლების მოწვევა დაგვჭირდება.

**_ თემის აქტუალობის გამო არ შეიძლება, არ გკითხოთ, რამდენად შესაძლებელია, სამტრედიამ რკინიგზელთა ქალაქის სტატუსი დაიბრუნოს და თავისი ფუნქციები აღიდგინოს, თუნდაც იმ ფონზე, როცა არსებობს ვარაუდი რუსეთთან სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის თაობაზე.**

_ შეიძლება ხმამაღალი ნათქვამი იყოს, მაგრამ 1990-იანი წლებიდან 2003 წლამდე ბევრი რამ გავაკეთე საქართველოს გეოპოლიტიკური სივრცის ასათვისებლად, "აბრეშუმის გზის" უკეთ ასამოქმედებლად. საქართველოს ტვირთების გატანის თვალსაზრისით დიდი პოტენციალი აქვს.

დღევანდელი მთავრობა რუსეთთან დაბალანსებულ პოლიტიკას ატარებს, რის შედეგადაც ჩვენ მის ბაზარზე შევედით. არ არის გამორიცხული, ამ ოთხ წელიწადში გამოინახოს საერთო ენა და სარკინიგზო გზა გაიხსნას. ამას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს ქვეყნის შიგნით, მაგრამ ჩვენი დამოუკიდებლობა ჩვენს სურვილზე არ არის, გეოპოლიტიკური მდგომარეობა არ გვაძლევს ამის საშუალებას. რუსეთიც ჩვენი მეზობელია, ისევე როგორც აზერბაიჯანი, სომხეთი, თურქეთი... სხვანაირად ვერ იქნება, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს ჩვენი ტერიტორიების დაკარგვის ხარჯზე. შესაძლებელია, იმ მასშტაბებით ვერა, მაგრამ სამტრედიამ სარკინიგზო ქალაქის ფუნქცია უნდა აღიდგინოს. ხალხს მივეცი პირობა, რომ ამ მიმართულებით ძალიან სერიოზულ მუშაობას გავწევ. ყველაფერი ტვირთბრუნვაზეა დამოკიდებული. 2013 წლის შემდეგ კი იგი თანდათან შემცირდა.

რასაც ვფიქრობ, ახლა ყველაფერზე ლაპარაკი არ შემიძლია, მაგრამ გარწმუნებთ, ბევრ რამეს შევცვლი.

პირველ რიგში, ქალაქის იერსახე უნდა შევცვალოთ. მოვაწესრიგოთ ცენტრი. გორაა თუ რა, არ ვიცი, საკათედრო ტაძართან რომ დგას! იქვე რკინიგზის სადგურის სახურავია დაჟანგული და შეცვლას მოითხოვს, ბალახია გასაკრეჭი, ძველი ავტოსადგური რა მდგომარეობაშია? შენობა რომ შეიძინეს იქ, კეთილიც უნდა ინებონ და ტერიტორიაც მოაწესრიგონ. მოსაწესრიგებელია ქალაქის საკანალიზაციო სისტემაც, წყალსაწრეტი არხები _ ძალიან ბევრი საკითხია მოსაგვარებელი. პირველ რიგში, ღმერთის დახმარებით და საკითხებისადმი სწორად მიდგომით ჩვენ ეს უნდა შევძლოთ.

წარმოიდგინეთ, წარმოშობით სამტრედიელი 7-8 კაცი შედის პარლამენტში. როგორ შეიძლება, ამ ადამიანებმა არ იზრუნონ სამტრედიაზე!

რეაბილიტაცია უნდა ჩაუტარდეს საბავშვო ბაღებს, სკოლებს; სპორტი, განათლება, კულტურა _ ამ მიმართულებებითაც სერიოზული სამუშაოებია ჩასატარებელი.

გასული საუკუნის 90-იან წლებში, როცა საქართველოში, მათ შორის სამტრედიაში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა, შემდგომი პერიოდიც, მოგეხსენებათ, როგორი რთული იყო ქვეყნისთვის, მე მაშინ ვაშენებდი გზებს, სპორტულ მოედნებს და ა. შ. დღეს სახელმწიფოს აქვს ამის შესაძლებლობა. საჭიროა სწორი მიდგომა, რომ ბევრი რამ სასარგებლო გაკეთდეს ჩვენს მუნიციპალიტეტში.

**_ ზოგადად, არსებობს მოსაზრება და შეიძლება ფაქტებიც, რომ მაჟორიტარი დეპუტატები ადგილებზე საკადრო ცვლილებებში ერევიან. როგორ ფიქრობთ, ეს რამდენად მართებულია?**

_ საკადრო პოლიტიკაში დეპუტატი ვერ ჩაერევა. ჩვენი ქვეყნის მიმართულება დამოუკიდებლობაა. ხალხმა აირჩია გამგებელი და საკრებულო, გამოუცხადა ნდობა. სწორედ მათ უნდა გადაწყვიტონ, ვინ იმსახურებს და ვინ არა ამა თუ იმ ადგილს. მე, საერთოდ, პირველი მტერი ვარ, ნათესაობით ვინმესი სადმე დანიშვნის. ჩემი დისშვილი, ჩემი ძმისშვილი ასეთ დროს ჩემთვის არ არსებობს. სამტრედიელებმა უნდა იცოდნენ, რომ გია მიქელაძე არავის პროტეჟე არ იქნება, რომ არავის გაუწევს პროტექციას. ადამიანები სამსახურებში მხოლოდ დამსახურების მიხედვით უნდა დაინიშნონ. ყველას უნდა ააიპ-ებსა და გამგეობაში მუშაობა, საქართველო ბიუჯეტის ქვეყნად იქცა. საბიუჯეტო ორგანიზაციებში მეტი ხელფასები აქვთ, ვიდრე ბიზნესში დასაქმებულებს. ასე არ შეიძლება, დისბალანსი უნდა მოხდეს. მილიონნახევარი ქართველია საზღვარგარეთ სამუშაოდ წასული. მათ ბიუჯეტი შევავსებინოთ და მერე ორგანიზაციებში ხალხი ვარჩინოთ, არ გამოვა. 2 თვე-ნახევარში მე დავინახე, რომ კვალიფიციური კადრების ნაკლებობაა. ბევრი თავის საქმეს ისე ვერ ასრულებს, როგორც უნდა ასრულებდეს. ამის შესახებ მე ვეტყვი გამგებელს, რომ გაითვალისწინოს. ეს მისთვის უკეთესიც კი შეიძლება იყოს, ვინც არ არის ღირსი, სახლში გაუშვას. ერთხელაც, უნდა დამთავრდეს საქართველოში, ეს ამის ნათესავია, ეს იმის ნათესავია. პატივს ვცემ ყველას, მაგრამ ქვეყანა რომ განვითარდეს, სხვაგვარი მიდგომები სჭირდება.

# პირველი მრავალპარტიული არჩევნებიდან 26 წელი გავიდა



**ნათია ნაცვლიშვილი**

***28 ოქტომბერს 26 წელი გადის იმ დღიდან, როცა საქართველოში პირველი მრავალპარტიული არჩევნები ჩატარდა. ეს იყო შედეგი მრავალათასიანი მიტინგებისა და საპროტესტო აქციებისა. ამ არჩევნების ბედი კი გარკვეულწილად სამტრედიაში გამართულმა რკინიგზის გადაკეტვის ცნობილმა აქციებმაც გადაწყვიტეს. ზვიად გამსახურდიამ სამტრედიელებს ასეთი შინაარსის სამადლობელი წერილი გამოუგზავნა: "საქართველოს ბედი კოლხეთის ამ უძველეს მიწაზე უნდა გადაწყვეტილიყო და ასეც მოხდა". ეროვნული მოღვაწის ეს სიტყვები უთუოდ სიამაყით აღავსებს ყველა სამტრედიელს.***

ამ მნიშვნელოვან მოვლენას ასე ეხმიანება ამ არჩევნების "მთავარი არქიტექტორის", ზვიად გამსახურდიას შვილი კონსტანტინე გამსახურდია:

"ეს არჩევნები საბჭოთა სივრცეში უნიკალური და უპრეცედენტო იყო: მრავალპარტიული, არასაბჭოური, მისი შედეგები დათვლილი ნეიტრალური საარჩევნო კომისიის მიერ, თუმცა, კი, საბჭოთა პოლიტიკური სტრუქტურების მიერ დანიშნული, რადგან ამ უკანასკნელს _ იმპერიულ-ცენტრალურს თუ ადგილობრივს _ სხვა გზა აღარ რჩებოდათ. არჩევნები, რომლის შესახებაც თვით ყველაზე მძვინვარე მტრებმაც კი ვერაფერი თქვეს: გაყალბებაზე, მანიპულაციაზე, თამაშის წესების დარღვევაზე, რაიმე "რესურსის" გამოყენებაზე, ერთადერთი, რაც ჩაილაპარაკეს, ხალხი შეიშალაო ნამდვილად".

ჩვენი მუნიციპალიტეტის სახელისუფლებო სტრუქტურებში დღეს არიან ადამიანები, რომლებიც საპროტესტო აქციების უშუალო მონაწილენი იყვნენ, ამიტომ უპრიანია, ეს ისტორია სწორედ მათ გაიხსენონ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე:

კობა ძიძიგური, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე:

"დიახ, ეს იყო მართლაც მნიშვნელოვანი მოვლენა საქართველოს ისტორიაში, პირადად მე იმ აქციების აქტიური მონაწილე ვერ ვიყავი, იმ დღეებში ჩემი ბაბუა იყო გარდაცვლილი ზვიადი კი, მოგეხსენებათ, ამ რკინიგზის გადაკეტვის ცნობილი აქციის ორგანიზატორი გახლდათ. მახსოვს, ის ოჯახში სამძიმრის სათქმელად რომ მოვიდა და მერე ისევ აქციას დაუბრუნდა, რადგან მისი მიტოვება არ შეიძლებოდა. ზვიად გამსახურდიას ავიწროვებდნენ იმჟამინდელი საბჭოთა მაღალჩინოსნები. სარკინიგზო გადაზიდვების შეჩერება, ეს მართლაც ძალიან დიდ დაბრკოლებას ქმნიდა, ამიტომ, მახსოვს, ერთხელ ბატონი ზვიადი ჩემს ძმას, ზვიადს ოჯახში ურეკავს და ეუბნება: "ზვიად ჩვენ ვიცით, რა განუზომელი მნიშვნელობა აქვს ამ აქციებს, მაგრამ, მოდით, შევწყვიტოთ, ისინი მაინც შეასრულებენ ხალხის მოთხოვნებს". ზვიადი პასუხობს: "ბატონო ზვიად, მათი ნდობა არ შეიძლება! როდის გაამართლეს მათ ხალხის ნდობა ახლა რომ ვენდოთ? ვიდრე ისინი სათანადო კანონს არ მიიღებენ, ჩვენგან უკან დახევა არ იქნება!" "კარგი, კარგი ზვიად, კარგი, გასაგებია!" _ და ამ სიტყვებით ზვიად გამსახურდია ზვიადს დაემშვიდობა. მოგეხსენებათ, ამ აქციებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს იმაში, რომ იმჟამინდელმა საბჭოთა ხელისუფლებამ მიიღო საარჩევნო კანონი და 28 ოქტომბერს ჩაატარა პირველი მრავალპარტიული არჩევნები, რომელშიც ხმათა დიდი უპირატესობა "მრგვალი მაგიდა _ თავისუფალმა საქართველომ" მიიღო. შემდგომ, 1991 წლის 9 აპრილს უზენაესი საბჭოს სხდომაზე, ზვიად გამსახურდიამ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ეს კი ეროვნული მოძრაობის უდიდესი გამარჯვება იყო.

ზაზა ადეიშვილი ქალაქ სამტრედიის მაჟორიტარი დეპუტატი მუნიციპალიტეტის საკრებულოში: "ეს იყო მართლაც პირველი მრავალპარტიული, ნამდვილი არჩევნები როგორც საქართველოში, ისე პოსტსაბჭოთა სივრცეში. ამ არჩევნებისთვის კანონი რომ მიგვეღო, ამ საქმეში ლომის წვლილი სამტრედიის რკინიგზის აქციას მიუძღვის. ეს იყო ზოგისთვის "ყბადაღებული რკინიგზის გადაკეტვის აქცია", მაგრამ მას ჰქონდა მართლაც კონკრეტული მიზანი: საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მაშინდელ ხელმძღვანელობას უნდა მიეღო ნამდვილი მრავალპარტიული საარჩევნო კანონი და ამას მივაღწიეთ. ეს მოხდა ზაფხულის პერიოდში, 28 ოქტომბერს კი ჩატარდა არჩევნები და ტრიუმფალურად გაიმარჯვა "მრგვალი მაგიდა _ თავისუფალმა საქართველომ". 23 წლის ბიჭი ვიყავი და უბედნიერესი ამ მიღწევით, გვერდით ვედექი სამტრედიის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს, შემდგომში, სამტრედიის პრეფექტს, ზვიად ძიძიგურს, ყოფილ ვიცე-სპიკერს, დღეს უკვე მეცხრე მოწვევის პარლამენტის წევრს. ეს არჩევნები იყო, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე სწორად ორგანიზებული, შემდგარი არჩევნები, ინცინდენტების და რაიმე მნიშვნელოვანი დარღვევების გარეშე".

# ხელისუფლებები მიდიან და მოდიან, "რესპუბლიკური პარტია" კი რჩება




საპარლამენტო არჩევნები, რომელიც რამდენიმე კვირის წინ ჩატარდა, რეალურად რა შედეგითაც დასრულდა, მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ გამოჩნდება. ფაქტია, რომ აღნიშნულ არჩევნებში პროდასავლურმა პარტიებმა მარცხი განიცადეს, მათ შორის "რესპუბლიკურმა პარტიამ", რომელმაც ხმების მინიმალური რაოდენობა მიიღო, რაც რამდენიმე ობიექტური მიზეზით არის განპირობებული (ამაზე შემდეგ ვისაუბრებ).

აღსანიშნავია, რომ იდეა (ამ შემთხვევაში "პროდასავლური იდეა") კი არ არსებობს პარტიისთვის, არამედ პირიქით, პარტია უნდა არსებობდეს იდეისთვის! ამის მკაფიო მაგალითია პარტია "რესპუბლიკელები", რომლებიც რჩებიან პოლიტიკაში იმიტომ, რომ ის იდეა, რომელსაც ისინი "ქოფაკი ძაღლებივით" დარაჯობენ უკვე ლამის 40 წელია (ანუ, საქართველოს ქცევა ევროპული ცივილიზაციის განუყოფელ ნაწილად), არსადაც არც გამქრალა, რჩება და არათუ რჩება, კვლავინდებურად ერთადერთი დომინანტური "საერთო ეროვნული პროექტია". "სულ პროცენტნახევარი მიიღეს ამ არჩევნებზეო". _ ხითხითებენ "რესპუბლიკელთა" მოძულეები. კი, ნამდვილად სულ რაღაც 1,55% მიიღეს. მერედა რა ამით? ზემოთ ხსენებული იდეა, რომელსაც ისინი განასახიერებენ, "პროცენტნახევრიან" საქართველოში?! მაშინ ვინმემ აგვიხსნას ერთი უცნაურობა: როგორ და რატომ ხდება, რომ ყველა სახელისუფლებო პარტია "ცუცკებივით დახტის" ამ "პროდასავლური იდეის" გარშემო და სულ მუდამ სთავაზობს ალიანსს სწორედ პროცენტნახევრიან "რესპუბლიკელებს", როდესაც ეს იდეა (და არა სხვა იდეა) უნდა გამოიყენოს ხელისუფლებაში მოსასვლელად ან მის შესანარჩუნებლად?

"მმართველი პარტიის" ის უბადრუკი ლიდერები, რომლებიც "პროცენტნახევრიან პარტიას" დასცინიან და, იმავდროულად, მუდმივად იჭაჭებიან "ნატო"-ზე, "ევროპულ ორიენტაციაზე", "პროდასავლურ კურსზე" "ევროპულ ღირებულებებზე" ა. შ. (სულაც რომ არ უნდოდეთ სინამდვილეში და არც ესმოდეთ რაზეა ლაპარაკი) უბრალოდ ვერ ხვდებიან, ვერ გრძნობენ, რომ ამით სწორედ იმ "პროცენტნახევრიან პარტიის" წისქვილზე ასხამენ წყალს. პროცენტნახევრიანი "რესპუბლიკელები" ახლა კი გადგებიან ჩრდილში, მაგრამ გარწმუნებთ, როგორც კი ხელისუფლების საკითხი ისევ დაისმება დღის წესრიგში, ძალაუფლებისაკენ მსწრაფი ჯგუფი ისევ მათ შესთავაზებს ალიანსს, როგორც სთავაზობდათ გამსახურდია 1990 წელს, შევარდნაძე 1992 წელს, სააკაშვილი 2002 წელს, ივანიშვილი 2011 წელს. იმიტომ, რომ იდეა, "პროექტი", კურსი, რომელსაც "რესპუბლიკური პარტია" (ვიმეორებ) "ქოფაკი ძაღლივით" დარაჯობს ამ ქვეყანაში, სინამდვილეში "პროცენტნახევრიანი" კი არა, გამარჯვებული იდეაა! მას ზურგს უმაგრებს დიადი ევროპული ცივილიზაცია მთელი მისი ელვარე ძლევამოსილებით: ბახის ფუგებით, შექსპირის სონეტებით, "დუომოს" ქიმებით დაწყებული და "ბითლზებით", მერსედესით, "მაკ-კომპიუტერით" გაგრძელებული. ამდენად, "რესპუბლიკელებისთვის" არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, "პროცენტნახევარს" მიიღებენ თუ 57%. ისინი მაინც არიან ხელისუფლებაში! ისინი ისედაც ფლობენ ძალაუფლებას, რადგან ვერც ერთი მთავრობა ვერ ბედავს და ვერც გაბედავს რაიმე იმგვარი გააკეთოს, რაც ეწინააღმდეგება იმ "პროექტს", იმ იდეას, იმ კურსს, რასაც, პირველ რიგში, სწორედ "რესპუბლიკელები" განასახიერებენ.

"რესპუბლიკელებისთვის" ძალაუფლება მათი "საერთო ნაციონალური პროექტის", მათი იდეის, მათი ღირებულებების ქვეყანაში ზეობაა და არა საკუთარი თავის ხილვა ხელისუფლებაში. ძალაუფლებას "რესპუბლიკელები" მხოლოდ მაშინ დაკარგავენ რეალურად, თუ ის იდეა, ის პროექტი დამარცხდება ამ ქვეყანაში, რომელსაც ისინი ახორციელებენ ან თავად, ან სხვადასხვა მთავრობათა თუ ხელისუფლებათა მეშვეობით, ვისაც აიძულებენ (ხშირად იმათი სურვილის საწინააღმდეგოდ) სკურპულოზურად დაიცვან კურსი და იოტისოდენად არ გადაუხვიონ ამ კურსიდან. მეორეს მხრივ, ამით დასტურდება, რომ "რესპუბლიკელთა" ლიდერები, რომლებიც ამ კურსს ჯერ კიდევ საზიზღარი კომუნისტური ჯურღმულის ციხეებში ერთგულებდნენ (იმ ამაზრზენ, აშმორებულ რეჟიმს კიდევ თავისი ციხეებიც ჰქონდა) მართლა იდეას ემსახურებოდნენ და არა საკუთარ თავს, აქედან გამომდინარე, არათუ 1,5% არამედ, 0,1%-იც კი რომ მიიღოს "რესპუბლიკურმა პარტიამ", საერთოდ არც ერთი წარმომადგენელიც რომ არ ჰყავდეთ არსად, ხელისუფლების არც ერთ რგოლში, სანამ საქართველოში მეფობს ის იდეა, ის კურსი, რომლის განმასახიერებელნი და მატარებელნიც "რესპუბლიკელები" არიან, სწორედ "რესპუბლიკური პარტიაა" ნამდვილი სახელისუფლებო პარტია ამ ქვეყანაში!

რა არის "რესპუბლიკელობა?!" "რესპუბლიკელობა" ეს ხვედრია... "რესპუბლიკელობა" ეს ბედისწერაა... "რესპუბლიკელობა" ეს ის მძიმე ჯვარია, რომლის ტარებაც სასიამოვნოსთან ერთად უსაზღვროდ საპასუხისმგებლოც რომ არის... "რესპუბლიკელობა" უკომპრომისობაა კომფორმიზმთან, სიზარმაცესთან, გაუნათლებლობასთან, კორუფციასთან, ზედაპირულობასთან, სიყალბესთან, ურაპატრიოტიზმთან, ანგარებასთან... "რესპუბლიკელობა" გარანტიაა თავისუფლების, სიმართლის, თანასწორობის, კანონის უზენაესობის, ტოლერანტობის, მიმტევებლობის, ღირსეული ცხოვრების და ნათელი მომავლის... "რესპუბლიკელობა" ის ფენომენია, რომელიც არ გაძლევს დაღლის და ჩამუხვლის საშუალებას, რომელიც მუდამ ფორმაში ყოფნას გაიძულებს, რომელიც დღენიადაგ, გაცილებით მეტ ენერგიას, სწავლას, მოძრაობას, განვითარებას, გაძლიერებას მოითხოვს...

... და ბოლოს, "რესპუბლიკელობა" ეს რწმენაა, რწმენა საკუთარი თავის, რწმენა ადამიანის, რწმენა უკეთესი მომავლის! გამარჯვებებს და წარმატებებს გისურვებთ _ "რესპუბლიკელებო"...

**იმედა გოგავა**

# 5 ნოემბერი — ეს ჩვენი დღეა!

**ლევან ბაბუჩავა**

არც საერო, არც საეკლესიო მნიშვნელოვანი თარიღია 5 ნოემბერი, მაგრამ ჩვენ მაინც გვეზეიმება, იმდენად, რამდენადაც კიდევ ერთი წლით დაბრძენებას ვულოცავთ მრავალი ჭირისა და ლხინის, ავისა და კარგის, აღიარებისა და დაუმსახურებლად დამცრობის მნახველ გაზეთს, ‘‘სოციალისტური შეტევას’’ სახელით რომ მოევლინა სამყაროს, ‘‘წინსვლად’’ რომ მიუძღოდა წინ რაიონის მშრომელებს, ამჯერად კი, ამჯერად ‘‘სამტრედიის მაცნეს’’ სახელით აუწყებს მკითხველს ჩვენი მუნიციპალიტეტის ახალ ამბებს.

— მოხარული ვართ გაცნობოთ, რომ ახალი წლიური რანჟირების შედეგების მიხედვით თქვენი საწარმო კვლავ ტოპლიდერების რიცხვშია! საწარმომ მაღალი პოზიციები დაიკავა რეიტინგში ფინანსურ-ეკონომიკური რანჟირების მიხედვით და დაიმსახურა შესაბამისი ჯილდოები, უკვე მესამედ, ასეთი შინაარსის შეტყობინება მოვიდა ამ დღეებში ‘‘სამტრედიის მაცნეს’’ რედაქციაში საქართველოს ნაციონალური ბიზნეს-რეიტინგების კავშირიდან, რომელსაც ხელს საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე მაკა კუტუბიძე აწერს. 86 წლის გაზეთის კიდევ ერთი წარმატებით გავიხარეთ ამ დღეებში.

ახალს ვერაფერს ვიტყვით.

ისევ მოგონება, თბილი მოგონება იმ ადამიანებისა, გაზეთის საკეთილდღეოდ რომ იღვაწეს, ათეული წელი რომ რანდავდნენ სტრიქონებს, საკუთარ ჭირად რომ უჩნდათ გაზეთის ჭირი, ლხინს კი საკუთარ ლხინადვე აღიქვამდნენ. ბევრნი არიან ისინი:

**ვასო შავგულიძე, აკაკი კოხრეიძე, ილია გოგოლაძე, ვალერიანე მეგრელიშვილი, ჟორჟი ჯანჯღავა, ვაჟა ნიკოლეიშვილი, ანზორ გრიგოლია, ოთარ ნაფეტვარიძე, სოსო ხაჟალია, შოთა მაღლაკელიძე, ზოია კალანდაძე...**

ისევ მადლობა, გულწრფელი მადლობა ჩვენს ვეტერანებს, ბატონებს **კორნელი ჩიხლაძეს, რომან ბექაიას, ქალბატონ ნაზი კიკაჩეიშვილს** დაუღალავად, რუდუნებით რომ ემსახურნენ საყვარელ საქმეს.

მადლობა ქალბატონებს: ზოია ვაშაკიძეს, მაყვალა კანდელაკს, მაყვალა ჩირგაძეს, ნათელა გელეიშვილს, ბატონებს: ანტონ გეგეშიძეს, ბორის კახიანს, იორამ ნიკოლეიშვილს, რევაზ შამათავას, დავით ჩირგაძეს, ერმილე თოფურიას, ანზორ გეგუჩაძეს გაზეთთან მრავალწლიანი მეგობრობისა და თანამშრომლობისათვის.

ისევ მილოცვა ჩვენს კოლეგებს, რომელთათვისაც საოცარი პატივია ღირსეულად განგრძობა იმ გზისა, ჩვენმა წინა თაობებმა რომ მოიტანეს ჩვენამდე.

# 86

ისევ სურვილი, გულწრფელი სურვილები ჩვენს უფროს მეგობარს, 86 წლის ‘‘სამტრედიის მაცნეს’’.

მრავალჯერ, მრავალგზის გეზეიმოს სიკეთის გამარჯვება ბოროტებაზე!

არასოდეს დაგლეოდეს ინტერესიანი მკითხველი, ყოველი ახალი ნომრის გამოსვლის ინტელექტუალი მომლოდინენი.

არასოდეს, როგორც აქამომდე, აზრი არ შეგცვლოდეს, ძმა ძმისთვის, მოკეთე მოკეთისათვის არ გადაგემტერებიოს!

არასოდეს, როგორც აქამომდე არ გვენახოს შენი გვერდები ბოღმიანი, ღვარძლიანი წერილებით აფერადებული!

კეთილ ამბავთა მაცნედ და მთხრობელად გვენახე მრავალჟამიერ, ჩვენო გაზეთო!

კიდევ ერთი წლით დაბრძენებას გილოცავთ, 86 წლის იუბილარო ‘‘სამტრედიის მაცნევ’’!

# რეიტინგში ოქრო და პირველი ადგილი იმერეთში

ეს უკვე მესამეა. ‘‘რეიტინგი ოქრო’’ შპს ‘‘სამტრედიის მაცნემ’’ 2014 წლიდან 2016 წლის ჩათვლით ზედიზედ მიიღო.

ახალი წლიური რანჟირების შედეგების მიხედვით ‘‘სამტრედიის მაცნე’’ კვლავ ტოპლიდერების რიცხვშია: საქართველოში ნაციონალური ბიზნეს-რეიტინგების კავშირის მიერ ორგანიზებულ კონკურსში ფინანსურ-ეკონომიკური რანჟირების შედეგების მიხედვით მაღალი პოზიციები დაიკავა და მიიღო: ‘‘რეიტინგი ოქრო’’ საქართველოს საწარმოებს შორის ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის მიხედვით ‘‘დაქირავებულთა რაოდენობა’’; ასევე ‘‘რეიტინგი ოქრო’’ და პირველი ადგილი იმერეთის საწარმოებს შორის ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის მიხედვით ‘‘ჯამური ადგილი’’.

რეიტინგები შედგენილია საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების ოფიციალური შედეგების მიხედვით. წყარო გახლდათ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, რომლისგანაც მოწოდებული საჯარო მონაცემების საფუძველზე ჩატარდა რანჟირება.

გამარჯვების შესახებ ‘‘სამტრედიის მაცნეში’’ რამდენიმე დღის წინ მოვიდა წერილი, რომელიც დირექტორს, ბეჟან გოგიას მადლობას უხდის საქართველოში ნაციონალური ბიზნეს-რეიტინგების კავშირის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, მაკა კუტუბიძე და იწვევს 2016 წლის 30 ნოემბერს ნაციონალური ბიზნეს-რეიტინგების კავშირის მონაწილე ქვეყნების ეკონომიკის ლიდერების დაჯილდოვების საზეიმო ცერემონიის ჩაწერაზე ‘‘ეკა ხოფერიას თოქ-შოუს’’ საშობაო გადაცემაში. გადაცემა ეთერში გავა 2017 წლის 4 იანვარს ტელეარხ ‘‘იმედის’’ ეთერში. ჩაწერა გაიმართება კაჭრეთის ‘‘ამბასადორ გოლფ რეზორთიში’’.

*ნინო ნანიტაშვილი*




# გულითადად გილოცავთ!

ღვთისაგან შექმნილი კაცობრიობა მრავალსაუკუნოვან ისტორიას მოიცავს. ამ ისტორიის განმავლობაში მან განსხვავებული ეტაპები განვლო — პირველყოფილი თემური წყობილებიდან დემოკრატიის თანამედროვე მოწყობამდე. ამ დიდი პერიოდის განმავლობაში ადამიანმა მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა. ეს ცვლილებები კი მისი მოქმედების ყველა სფეროს შეეხებოდა: სულიერს, ფიზიოლოგიურს, კულტურულს, სამეურნეოს და სხვა.

ადამიანი რთული არსებაა. მის სირთულეზე თავად მეტყველების უნარი მიანიშნებს. ვინც მეტყველებს, ის ჯერ აზროვნებს და შემდეგ გამოთქვამს მასში წარმოქმნილ ფიქრებს.

მეტყველების თუ წერის კულტურის დონე ყოველთვის განსაზღვრავდა და კვლავაც განსაზღვრავს ყოველი ინდივიდისა და ერის მენტალიტეტს. ქართველისთვის ის ყოველთვის იყო და არის სულის გამოხატულება, მისივე ნების ემოცია.

დღეს, როცა მეტად განვითარდა ოცდამეერთე საუკუნის ადამიანი და მეტი მოთხოვნილებები გაჩნდა წინსვლისა და განვითარებისათვის, ამაში დიდ და სწრაფ როლს ასრულებს მედია-საშუალებები. მაგრამ ყოველთვის ენიჭებოდა და ენიჭება მნიშვნელობა, თუ რას გადმოსცემს, რას შემატებს ის მსმენელს თუ მკითხველს.

ყოველი ადამიანის მოქმედება სასიკეთოდ უნდა იყოს მიმართული მეორე ადამიანის მიმართ: ‘‘აბა დღეს მე ვის რა ვარგე’’. შეცდომა ყოველი მოქმედების თანმდევი თვისებაა, მაგრამ მას არ უნდა მიეცეს სისტემატური ხასიათი. ამქვეყნიური ადამიანის ცხოვრების მიზანიც ხომ უფლისა და მოყვასის სიყვარულში მსახურებაა. სიკეთისათვის ბრძოლა ყოველთვის უკეთ გამოსდიოდა და გამოსდით ბრძენ კალმოსნებს. კალმოსნობაში მწერლებთან და პოეტებთან ერთად იგულისხმება გაზეთი, რომელიც სიტყვებით შეკრულ ფურცლების კონას წარმოადგენს. ქართული გაზეთი ქართული სიტყვის ის გამტარია, რომლის მეშვეობითაც სულში იღვრება არა მხოლოდ აზრები და სახეები, არამედ შეგრძნებების, განცდების, გრძნობებისა და სურვილების ნაკადი. ამრიგად, სიტყვა ცოცხალია, როგორც წიგნი, რომელსაც ავტორის სული დაჰყვება, ასევეა ყოველი საგაზეთო სტატიაც, რომელსაც ავტორის სული დაჰყვება თან. სიტყვა ყველაზე უკეთ ამხელს და წარმოაჩენს მის წარმომთქმელს.

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ წელთა სიმრავლეს. წელთა სიმრავლე შეგძენთ მეტ გამოცდილებას, მაგრამ გამოცდილება და მკითხველთა სიყვარული არ აკლია საუკუნემიღწეულ სამაგალითო და სახელოვან სარედაქციო გუნდს. გისურვებთ გულს გონიერს, გონებას კეთილს, ბაგეს ბრძნადმეტყველს და ნოყიერ ნიადაგს, რათა უკეთ დააფასოს და შეაფასოს მომავალმა თქვენი უანგარო შრომა!

*მერიტა მეორგაძე*

# გულწრფელი მილოცვა



საოცარი დამთხვევა...

კარზე დააკაკუნა, მორიდებით შემოვიდა ჩვენი უფროსი მეგობარი, ყოფილი სტამბელი, ქალბატონი ნუნუ ნიკურაძე ოთახში.

პირადი საქმე ჰქონდა.

როცა ვუთხარით მალე გაზეთს 86 წელი უსრულდება და ორიოდე სიტყვას თქვენზე დავწერთ-თქო იუარა, მაგრამ...

— 1970 წელს დავიწყე მუშაობა სტამბაში, ბატონი სერგო შენგელია იყო იმხანად დირექტორი, გაზეთის რედაქტორი კი ბატონი ვაჟა ნიკოლეიშვილი გახლდათო. — გვიყვება რესპონდენტი.

რედაქცია და სტამბა, მართალია, სხვადასხვა ორგანიზაციები იყვნენ, მაგრამ რაკი ერთ საქმეს ვემსახურებოდით, მაინც ერთი დიდი ოჯახი ვიყავით.

ახლა, როცა 70-ს კარგა ხანია გადავაბიჯე, ხშირად ვიხსენებ სტამბაში გატარებულ 30 წელიწადს, ყოფილ თანამშრომლებს, კოლეგებს, ჭირი და ლხინი განუყოფელი რომ გვქონდა და გული ხალისით მევსება.

რედაქციასა და სტამბას ყანა გვქონდა გაპიროვნებული, ბატონები ვაჟა ნიკოლეიშვილი, ოთარ ნაფეტვარიძე, სოსო ხაჟალია, სერგო შენგელია სიმინდის მწკრივებს ზედმეტი ბალახისაგან გაგვითავისუფლებდნენ, ქალებს შრომა რომ გაადვილებოდათ.

ახლა ექსკურსიები, მოკლედ, საქმის დროს საქმე, დასვენების დროს დასვენება ღირსეულად ვიცოდით, ურთიერთსიყვარულითა და პატივისცემით ვიყავით განმსჭავლული ერთმანეთის მიმართ.

ვხარობდით გაზეთის წარმატებებით.

მოსაგონებელსა და გასახსენებელს რა გამომილევსო, ქალბატონმა ნუნუმ.

მოკრძალებით, სითბოთი და სიყვარულით მოგვილოცა უფროსმა მეგობარმა ‘‘სამტრედიის მაცნეს’’ 86 წლის იუბილე და როცა ფოტოაპარატი ‘‘აჩხაკუნდა’’ კატეგორიული უარი გვითხრა — რაღა დროს ჩემი სურათიაო, ‘‘ჩემი გავიტანე’’ და იმ გაზეთის ფურცლებზე კიდევ ერთხელ დავბეჭდეთ იმ ადამიანის ფოტო, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის უკვე 86 წლის ‘‘სამტრედიის მაცნეს’’ წინაშე.

*ლევან ბაბუჩავა*

## კომპეტენტურობისა და პოლიტიკურობის ზღვარზე

# "არ იქნება მართებული, ამ ხალხს ისევ ჩვენ დავხვდეთ იქ"

**თეა ბაბუნაშვილი**

უკვე ახალი შემადგენლობით, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საატესტაციო-საკონკურსო კომისია გასაუბრების მესამე ეტაპს ხელახლა გამართავს. ამჯერად კიდევ ერთი სასამართლო პროცესი კიდევ ერთმა საჩივარმა მოიგო და იგი გომის თემის ყოფილ გამგებელს, მამუკა ნიკოლეიშვილს ეკუთვნოდა. მისი პრეტენზია სამივე ინსტანციის სასამართლომ მართებულად ჩათვალა, ისევე როგორც თამილა ახალაძის შემთხვევაში. რაც შეეხება კიდევ ერთ აპლიკანტს, მთვარისა მახარაძეს, მეორე ინსტანციის, ანუ სააპელაციო სასამართლომ არ სცნო მისი სარჩელი. აპლიკანტის მიერ უზენაესში გასაჩივრების შემდეგ, საქმე გადასახედად კვლავ სააპელაციოს დაუბრუნდა.

რადგან მკითხველმა არაერთხელ ნახა ამ თემაზე დაწერილი სტატიები ჩვენს გაზეთში, მოკლედ გაგაცანით საქმის ვითარება. ამჯერად, საკვალიფიკაციო გამოცდებიცა და მისი მესამე ტურიც, მთვარისა მახარაძისა და თამილა ახალაძის სარჩელებს დამატებულმა კიდევ ერთმა ახლად მოგებულმა სასამართლო პროცესმა გაგვახსენა. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ახალი სწორედ მამუკა ნიკოლეიშვილის სარჩელია. გამოცდის მესამე ტური, ანუ გასაუბრება 15 ნოემბრამდე უნდა ჩატარდეს. "სასამართლო პროცესს არ ვესწრებოდი, თუმცა, როგორც ჩვენთვის საქმის გადაწყვეტილებით ცნობილია, სასამართლომ საატესტაციო-საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული შესაბამისი ოქმები ბათილად სცნო იმ მიზეზის გამო, რომ არ იყო ვიდეოგადაღება. ამას კანონი არ ავალდებულებდა კომისიას. გარდა ამისა, მათი ბრალდებით არ იყო შედგენილი კითხვარი. არადა, იქნებ ფურცელზე არ იყო ჩამოწერილი, ვის რას ჰკითხავდნენ, თუმცა, კითხვები ყველა აპლიკანტისთვის იდენტური გახლდათ იმ სფეროდან გამომდინარე, რა ვაკანსიაზეც მათ განაცხადი ჰქონდათ. ყველა აპლიკანტმა იცოდა, რა საკითხის ირგვლივ დაისმებოდა ისინი. რაც შეეხება, გამჭვირვალობას, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მედიის წარმომადგენლებს შეუზღუდავი ჰქონდათ დასწრების უფლება. ერთია, კანონი ითვალისწინებდა, რომ დასწრების სურვილის შემთხვევაში წინასწარ უნდა ყოფილიყო ცნობილი კომისიისთვის. მხოლოდ "სამართლიანი არჩევნების" წარმომადგენელმა, ნინო შარაშენიძემ გამოთქვა დასწრების სურვილი და იგი ესწრებოდა კიდეც კომისიის მუშაობის ორივე ეტაპს. მან დადო დასკვნა, რომ ყველაფერი კანონის ფარგლებში წარიმართა." _ ამბობს საკრებულოს იურისტი ნონა იანიკოვი.



საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე, საკრებულოს იურიდიულ, საპროცედურო და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე, მანანა სირბილაძე ხაზს უსვამს, რომ ვიდეოგადაღების არარსებობა გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის საბაბი არ უნდა გამხდარიყო, მით უმეტეს, რომ აპლიკანტს უფლება ჰქონდა თავად გადაეწყვიტა, ჩაეწერა თუ არა საკუთარი გასაუბრება: "ვიდეო თვალის არსებობის აუცილებლობა კანონით რომ მკაცრად ყოფილიყო განსაზღვრული, არც უამისობა იქნებოდა. იმავდროულად, კანონი არც აპლიკანტს ავალდებულებს საკუთარი გამოკითხვის ჩაწერას. რადგან "იმას გამოურთე, იმას ჩაურთე" გამოდიოდა, გადავწყვიტეთ, საერთოდ არ ყოფილიყო გადაღება, მით უფრო, რომ თუ ყველა აპლიკანტის ჩანაწერი არ ექნებოდა, სასამართლო მაინც ვერ მოახერხებდა შედარებას ორი პასუხისას. ეს არ არის გამოსავალი. მე სუბიექტურობაში ვადანაშაულებ მოსამართლე გოჩა აბუსერიძეს. ამის თქმის საბაბს მაძლევს ის, რომ ვიცნობ და ვიცი მისი პოზიციები. თუ დამისახელებთ რომელიმე მუნიციპალიტეტს, სადაც ვიდეოჩაწერა ხდებოდა, უკან წავიღებ ჩემს სიტყვებს და ბოდიშს მოვიხდი. ვთვლი, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება ყველა შემთხვევაში ტენდენციურია. და ამას ვამბობ არა იმიტომ, რომ თავად გახლდით ამ კომისიის წევრი."

რადგან გამჭვირვალეობა დაუწუნეს, საატესტაციო-საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ, იმავდროულად საკრებულოს თავმჯდომარემ ნუგზარ ჯამბურიამ და მისმა მოადგილე მანანა სირბილაძემ გადადგომის გადაწყვეტილება თავად მიიღეს. სავარაუდოდ, შეიცვლება მისი დანარჩენი წევრებიც. "არ იქნება მართებული, ამ ხალხს ისევ ჩვენ დავხვდეთ იქ." _ ამბობს მანანა სირბილაძე.

ძველი შემადგენლობის საკუთარი სურვილით გადადგომის შემდეგ, კანონის დაცვით კომისიის ახალ შემადგენლობას მუნიციპალიტეტის გამგებელი უხელმძღვანელებს. ახლით შეიცვლებიან მისი წევრებიც. "კანონში მითითებულია, რომ საატესტაციო-საკონკურსო კომისიას დაწესებულების, ჩვენს შემთხვევაში, საკრებულოს ან გამგეობის ხელმძღვანელმა უნდა უხელმძღვანელოს. პირველ შემთხვევაში ეს საკრებულოს თავმჯდომარე გახლდათ. რადგან შემდეგ მოვლენები ისე წარიმართა, როგორც წარიმართა, გადაწყვეტილება მივიღე, მე მეხელმძღვანელა მისთვის. ჯერ არც გამომიცია ბრძანება კომისიის შემადგენლობის შესახებ. ვცდილობ, იგი მაქსიმალურად პროფესიონალებით და არა პოლიტიკური შეხედულებებით იყოს დაკომპლექტებული. შესაბამისი პროცედურების დაცვით, მედიასაშუალებებს წვდომა ყოველთვის ექნებათ კომისიის მუშაობასთან. იგივე ითქმის არასამთავრობოებზეც." _ ამბობს კომისიის ახალი თავმჯდომარე, მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალერი ფოცხვერია. იგი ხაზს უსვამს, რომ გასაუბრების პროცესი ვიდეოგადაღებით ჩატარდება. რადგან ამას კანონი არ ავალდებულებს, კომისიის წინა შემადგენლობასთან გამგებელს ამ კუთხით პრეტენზიები არ აქვს. რაც შეეხება იმ აპლიკანტებს, რომელთა სარჩელის გამოც მესამე ეტაპი განმეორებით იმართება, კომისიის ახალი თავმჯდომარე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ: "რადგან სასამართლომ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო, ვეთანხმებით თუ არ ვეთანხმებით, ჩვენ ვემორჩილებით მას. ადრე ასე იყო, როცა ადმინისტრაციის წინააღმდეგ იბრძოდა მოქალაქე, სასამართლო ცალსახად ადმინისტრაციის მხარეს იკავებდა. არ აქვს მნიშვნელობა, ვისი განცხადებაა. კომისია იქნება კომპეტენტური და მიიღებს სამართლიან გადაწყვეტილებას." ერთი სიტყვით, გამგებელმა აქცენტი იმაზე გააკეთა, რომ თუკი მომჩივანები შესაბამის დონეს აჩვენებენ, მათ პოლიტიკური ნიშნით არავინ ეტყვის უარს დასაქმებაზე.

გარდა გასაუბრების მესამე ტურისა, კომისია გამოცხადებულ რამდენიმე ვაკანსიაზე განაცხადის მქონეთა გამოცდასაც ჩაიბარებს.

# ქლორს ისლამური სახელმწიფოები იარაღად დღესაც იყენებენ

**ნინო ნანიტაშვილი**

პრეზენტაციაზე გაჟღერდა, ქლორი საკმაოდ მნიშვნელოვანი პრობლემაა საქართველოში. ასევე ითქვა, იმერეთი, ჩვენდა საბედნიეროდ, გეოგრაფიულ რუკაზე ერთადერთი გამონაკლისია, სადაც საშიში ქიმიური ნივთიერებების, ეგრეთ წოდებული "ცხელი წერტილები" არ აღმოჩენილა, თუ ანგარიშში არ ჩავთვლით ხონის შემთხვევას, რომელიც, დაახლოებით, 2 კვირის წინ დაფიქსირდა და მისი ლიკვიდაცია დროულად მოხდა.

გიორგი სერგეენკო, პროექტის კოორდინატორი: "იმერეთის რეგიონში აღწერილი ასეთი შემთხვევა არ არის. თუმცა ხონში რამდენიმე კვირის წინ მოხდა ბალონიდან ქლორის გაჟონვა. საბედნიეროდ, იქ არავინ დაზარალებულა. შესაბამისმა სამსახურებმა მოახდინეს დროული რეაგირება, კერძოდ, 112-ს ვგულისხმობ, მოხდა ამ ბალონის გატანა-განეიტრალება.

წინააღმდეგ შემთხვევაში, შედეგი არის მაღალი, ქლორის მომწამლავი თვისებები არის ძალიან მძიმე. ქლორს პირველი მსოფლიო ომის დროს იარაღის სახით იყენებდნენ. მას იარაღად დღესაც იყენებენ ისლამური სახელმწიფოს ტერორისტები, ასე რომ, ჩვენ ამ ქლორს უნდა მოვეპყროთ არა როგორც მხოლოდ სახიფათო ნივთიერებას, არამედ ქიმიური იარაღის ნაირსახეობას, რომელიც შესაბამის მიდგომებს და სწრაფ რეაგირებას მოითხოვს".

"დავასუფთავოთ საქართველო _ ფაზა III" არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად "საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი "ორგისი" და "საქართველოს მწვანეთა მოძრაობა "დედამიწის მეგობრები _ საქართველო" მიმდინარეობს პროექტის განხორციელება, რომლის პრეზენტაცია გაიმართა 28 ოქტომბერს სამტრედიის მუნიციპალიტეტში და მასში მონაწილეობა მიიღეს ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლებმა.

პროექტის კოორდინატორმა გიორგი სერგეენკომ ვრცლად ისაუბრა პროექტის მიზნებზე. სახიფათო ნარჩენების, კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაზე თხევადი ქლორის არსებობის შესახებ, მათგან გამომწვევ საფრთხეებზე. გიორგი სერგეენკომ დარბაზის ყურადღება მიიპყრო საქართველოში, მათ შორის სამტრედიის მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის გაუმჯობესების და მოსახლეობის პასუხისმგებლობის გაღრმავების გზით გარემოს დაცვაზე, ასევე, როგორ უნდა შემცირდეს მასზე კლიმატის ცვლილებების ზემოქმედება. განმარტა, თუ როგორ უნდა მოხდეს საფრთხეების თავიდან აცილება, მათი გაუნებელყოფა _ უტილიზაცია. საფრთხეების აღმოჩენის შემთხვევაში კი "112"-ს უნდა დაუკავშირდნენ.

გიორგი სერგეენკო, პროექტის კოორდინატორი: "სახელმწიფოს მონაწილეობის გარეშე ამ საფრთხის აცილება შეუძლებელი იქნება, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, რადგან რა ხდება ადგილებზე, ამაზე უკეთ იცის ადგილობრივმა ხელისუფლებამ. მათ აქვთ ინფორმაცია, მიუწვდებათ ხელი. ამდენად, ჩვენი დღევანდელი ხვედრის არსი სწორედ ამაში მდგომარეობს, ის საფრთხე ადგილობრივი ხელისუფლებისთვის იყოს ცხადი, გასაგები და ერთმნიშვნელოვანი. თუკი რაიმე ინფორმაცია ექნებათ შესაძლო საფრთხის შესახებ, დაუყოვნებლივ უნდა მოგვაწოდონ შესაბამისი რეაგირების განხორციელებისთვის".







# „ვისაც რაიმეს უნარი აქვს“... რჩევა მცირე მეწარმესგან

**ქეთევან ქელიძე**

***ცდა ბედის მონახევრეაო და სახელმწიფო პროგრამა "აწარმოე საქართველოში" ჩართვის მიზნით მონაცემები ინტერნეტით გააგზავნა. მალე დამაკმაყოფილებელი პასუხი მიიღო: თქვენი იდეა გათვალისწინებულიაო. შემდეგ ბიზნესგეგმა წარადგინა და სახელმწიფოსგან 5 ათასი ლარითაც დაფინანსდა. ამ თანხით კი გენრიეტა დუნდუამ მცირე სამკერვალო საამქროააწყო. სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მიერ სერტიფიკატიც გადაეცა "სახელმწიფო პროგრამა "აწარმოე საქართველოში" მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის კომპონენტში წარმატებით ჩართვისთვის".***

***ქალბატონი გენრიეტა ერთ-ერთია იმ ადამიანებს შორის, ვინც თვლის, რომ ეს პროგრამა მნიშვნელოვანია არა მარტო კონკრეტული პიროვნებებისთვის, არამედ ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის.***

მკითხველს შევახსენებთ, რომ პროგრამა "აწარმოე საქართველოში "2014 წლიდან შევიდა ძალაში. მას კოორდინირებას ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების და სოფლის მეურნეობის სამინისტროები უწევენ. მიზანი მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობაა, როგორც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის წარმოება-გადამუშავების, ასევე, ინდუსტრიული პროდუქტის წარმოების თვალსაზრისით. ეს კი თავისთავად ახალ საწარმოებს, ახალ პროდუქტს და ახალ სამუშაო ადგილებს ნიშნავს.

ქალბატონ გენრიეტას თავის მცირე საწარმოში ვეწვიეთ, რომელიც საკუთარი სახლის პირველ სართულზე აქვს განთავსებული. ძირითადად, მისი საქმიანობის ინტერესს ლოგინის თეთრეულის, ასევე, ფარდებისა და მაგიდის გადასაფარებლების კერვა შეადგენს.

"აი, ეს გერმანული ციფრული საკერავი მანქანაა, ეს საქარგავი მანქანაც გერმანულია. ამ პატარა მანქანით "ავერლოკებს" ვაკეთებთ. იმ თანხიდან კიდევ ერთი საკერავი მანქანა შევიძინეთ. ასევე, უთო, საუთოო მაგიდა, სავარძელი, კიდევ ეს დიდი მაგიდა, რომელზეც თეთრეულს საკერავად ვამზადებთ". – გვიხსნის ქალბატონი გენრიეტა.

თვალი რულონებად დახვეული ქსოვილებისაკენ გაგვირბის, მისი მყიდველის დახვეწილ გემოვნებაზე რომ მეტყველებს. "ძირითადად, კოტონზე ვმუშაობთ, 100 პროცენტიანი ბამბაა. ვკერავთ საწოლნახევრიან, ორსაწოლიან, საოჯახო თეთრეულებს. საბავშვო საწოლისთვისაც მივიღეთ შეკვეთა, უკვე მზადაა, დავქარგეთ კიდეც". – აგრძელებს საუბარს ჩვენი რესპონდენტი.

ერთი წელიც არ არის, რაც გენრიეტა დუნდუა პროგრამაში ჩაერთო, მაგრამ მეწარმოებას დიდი ხანია ეწევა. ლუდისა და ხილეული წყლების მთავარი ტექნოლოგი, სადაც 22 წელი იმუშავა, ერთადერთი იყო, ვინც სამტრედიაში ტექნოლოგიების დაცვით სახლში ლუდი ჩამოასხა. მისი მინი საწარმო პირველი გახლდათ მთელ დასავლეთ საქართველოშიც.

"მომხმარებელი კმაყოფილი იყო ჩვენი ლუდით. ჩემი მეუღლის სახელის გამო "გენოს ლუდს" ეძახდნენ, ხანდახან გენო თოფაძესაც უწოდებდნენ". – გვიყვება იგი. – სახლში პატარა ლუდის ბარი გავხსენით. მერე შენობა შევისყიდეთ, წარმოების გაფართოებაზე ზრუნვა დავიწყეთ, მაგრამ, გარკვეული მიზეზების გამო, ეს ვეღარ მოვახერხეთ. თუმცა, მე მაშინ ოჯახი გადავარჩინე!

როცა ქვეყანაში უძრაობის პერიოდი დადგა, ფაბრიკა-ქარხნები დაიხურა და ის და მისი მეუღლეც უმუშევრები დარჩნენ, თუ ერთმა ქალმა შეძლო ქარგვა, მეც შევძლებო, თქვა და ნაჩუქარი საკერავი მანქანით პირველად დაიწყო ქარგვა. მიუხედავად საერთო კრიზისისა, მის მიერ დაქარგული თეთრეულის შეძენის მსურველები საკმაოდ აღმოჩნდნენ. მაშინაც შევძელი ოჯახის ფინანსური უზრუნველყოფაო. – დასძენს ის.

შრომისმოყვარე ქალბატონი ამჯერადაც კმაყოფილია, საქმე რომ გამოვიდა. ყველას ურჩევს, ვისაც კი რაიმეს უნარი აქვს, პროგრამაში ჩაერთოს, რადგან სახელმწიფო მცირე მეწარმეებს კარგ პირობებს სთავაზობს.

ქალბატონ გენრიეტას საოჯახო ბიზნესში დახმარებას თავისი ქალიშვილი თინათინ დუნდუა უწევს. თინათინი სამტრედიის სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონული განყოფილების სპეციალისტია. მის ძირითად ფუნქციას საწარმოში თეთრეულის ქარგვა წარმოადგენს. როცა ქარგვას მორჩება, კერვაში ეხმარება დედას.

"შრომატევადი საქმეა, თავიც დამავიწყა და ოჯახიც!" – გვიმხელს ქალბატონი გენრიეტა, მაგრამ ამასთან აუცილებელიც. სტიმულს აძლევს, როცა მომხმარებელი მის ნამუშევარს იწონებს. აკურატულად შესრულებულ ნამუშევარზე უთქვამთ კიდეც, ეს ადამიანმა დააუთოვაო. ცდილობს, თეთრეული ხარისხიანად შეკეროს. თანხაზე მანიპულაციას არ აკეთებს, – მოგება მხოლოდ მათი შრომის ანაზღაურებაა. ამიტომ გული სწყდება, ასეთი თეთრეული უფრო იაფად შევიძინეთო, რომ უმტკიცებენ. "სინამდვილეში ასე არ არის, ის თეთრეული სხვა ხარისხისაა, ჩვენი – სხვა. ქსოვილი ძვირი ღირს. თანაც, შეკერვამდე ვრეცხავ, რომ გავიგო, ფერი ხომ არ გასდის. იყო ასეთი შემთხვევაც და უკან დავუბრუნეთ გამყიდველს. უკვე გამოცდილებაც შევიძინეთ და შეგვიძლია გამოვიცნოთ, რამდენად ხარისხიანია ესა თუ ის ქსოვილი. თვლის, რომ ბაზარზე დამკვიდრება ძნელია. ბაზარს თავისი დაწერილი და დაუწერელი კანონები აქვსო, განმარტავს. მით უფრო, რომ ამგვარი პროდუქციით ბაზარი გაჯერებულია. თუმცა, მცირე მეწარმე მაინც ახდენს თავისი ნაწარმის რეალიზებას, მოთხოვნაც ყოველდღიურად იზრდება.





საკითხი, რაც მათ მუშაობას მეტნაკლებად ხელს უშლის, ჩვენში საყოველთაოდ დამკვიდრებული ნისიებია. რამდენიმე თვეზე განაწილებული თანხის ამოღება, ზოგჯერ უძნელდებათ. ისეთი შემთხვევაც ჰქონიათ, საერთოდ რომ არ გადაიხადა მყიდველმა. იცის, ქალბატონმა გენრიეტამ, რომ ხალხს ფული არა აქვს და ცდილობს, ხელი შეუწყოს მათ, ყიდვა შეაძლებინოს. სხვა მხრივ, ისევ და ისევ გვარწმუნებს პროგრამის უპირატესობაში. გარდა იმისა, რომ კოორდინატორი, თვალს ადევნებს, რამდენად მდგრადი და სიცოცხლისუნარიანია წარმოება, მცირე მეწარმისაგან ამ კონკრეტულ შემთხვევაში სახელმწიფო არაფერს ითხოვს. კარგი ხარისხი და შედარებით დაბალი ფასები კი აქ მომსვლელ ნებისმიერი გემოვნებისა და კატეგორიის ადამიანს იზიდავს.

# წლის საუკეთესო რკინიგზელი



**ნინო ნანიტაშვილი**

***59 წლის იური დვალიშვილი თითქმის ყოველდღე ერთი და იგივე გზას ჭრის. შედის იმ პატარა შენობაში, მისი მეორე სახლი რომ ჰქვია. იქ ხვდებიან ადამიანები, რომლებთანაც 8 საათიანი სამუშაო დღე აკავშირებს. იცვამს უნიფორმას, რაც მის პროფესიულ საქმიანობას ხაზს უსვამს და მერე კოლეგებთან ერთად ლიანდაგის აღდგენით სამუშაოებს აწარმოებს, პლანეტის ერთ-ერთმა მშვიდობიანმა ტრანსპორტმა, მატარებელმა უსაფრთხოდ რომ იმოძრაოს.***



იური დვალიშვილი ამ საქმეს 39 წელია ემსახურება. ღვაწლს რომ არ უკარგავენ, ამ დღეებში კიდევ ერთხელ გამოჩნდა. საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტმა წლის საუკეთესო პროფესია – ლიანდაგის მონტიორის პოზიციაზე გამარჯვებულად იური დვალიშვილი დაასახელა.

იური დვალიშვილი: "მედალი ადრეც მომცეს, დაახლოებით 15-20 წლის წინ. ახლა ფულადი საჩუქრით, 500 ლარით დამაჯილდოვეს. ჩემი საქმიანობა ლიანდაგის მოწესრიგებაა. დღის განმავლობაში ხან შპალს ვცვლით, ხან რელსს. სხვადასხვა სახის სამუშაო მაქვს შესასრულებელი. დღეში 8 საათს ვმუშაობ, ერთი საათი შესვენება მაქვს. თბილისში ჯერ დეპარტამენტში შეგვხვდნენ, შემდეგ რესტორანში წაგვიყვანეს და ისე დაგვაჯილდოვეს. არ ვიცი, რა განსაკუთრებული ნიშნით გამომარჩიეს. ალბათ, თავდაუზოგავად რომ ვშრომობ და საქმეში გულს ვდებ".

სალიანდაგო სამმართველოში შემდუღებელ ოპერატორად 12 წელია მუშაობს. სამტრედიელი თეიმურაზ ახობაძე პროფესიით ეკონომისტია. 39 წლის ახალგაზრდა კაცმა რკინიგზაში დამსახურებული საქმიანობისთვის წელს პირველი ჯილდო მიიღო. ამბობს, რომ მისთვის ასეთი დაფასება მოულოდნელი იყო.

თეიმურაზ ახობაძე: "ეს ჯილდო ჩემთვის წარმატების ნიშანია, მომეცა მუშაობის მეტი ხალისი, სტიმული, მომავალში უკეთესად შევასრულო ჩემი საქმიანობა. ამჟამად ვმუშაობ რელსებისა და ჯვარედინების აღდგენაზე, შემდუღებელი ოპერატორის თანამდებობაზე. მძიმე სამუშაოს შესრულება მიწევს, შრომატევადია".



დასავლეთის სალიანდაგო სამმართველოში, დაახლოებით, 1054 თანამშრომელია დასაქმებული, იგი აერთიანებს: აჭარის, გურიის, სამეგრელოს, სამტრედიის და ზესტაფონის 5 რეგიონს. საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტმა რკინიგზელთა პროფესიულ დღესასწაულზე დასავლეთის სალიანდაგო სამმართველოს 5 თანამშრომელი სიგელითა და ფასიანი საჩუქრით დააჯილდოვა. მათ შორის ყველაზე მაღალი, საპატიო რკინიგზელის წოდება ლანჩხუთელ გიორგი კუნჭულიას მიანიჭა, მოძრაობის უსაფრთხოების საუკეთესო დამცველად ფოთის უბნის გზის ოსტატი კახაბერ იოსავა დაასახელა.

ზაზა ნიკოლეიშვილი, დასავლეთის სალიანდაგო სამმართველოს უფროსის მოადგილე: "წარმატებული რკინიგზელების დაჯილდოვება ხდება ყოველწლიურად რკინიგზელთა პროფესიულ დღესთან დაკავშირებით. კანდიდატების შერჩევა მოხდა კოლექტივთან ერთად. წარდგენილი გვყავდა უფრო მეტი თანამშრომელი, მაგრამ თბილისში სამმართველოში გადაწყდა და დასავლეთის სალიანდაგო სამმართველოში ხუთ თანამშრომელზე შეაჩერეს არჩევანი".

"წლის საუკეთესო პროფესია" ამ ნომინაციაში სამტრედიელმა რკინიგზელებმა გაიმარჯვეს. იური დვალიშვილსა და თეიმურაზ ახობაძეს დასავლეთის სალიანდაგო სამმართველოს უფროსის მოადგილის კაბინეტში ადმინისტრაციის თანამშრომლები შეხვდნენ და წარმატება მიულოცეს.

ნანო გეგეჭკორი, ტექნიკური განყოფილების ინჟინერი: "ნამდვილად ღირსეული კანდიდატები არიან, იმსახურებენ ამ ჯილდოს. გარდა პროფესიონალიზმისა, კარგი მეგობრებიც არიან, კარგი ოჯახები აქვთ. გადაწყვეტილება მიღებულია კოლექტივთან ერთად და ყველა ვეთანხმებით მათ დაჯილდოვებას".

# ღმერთმა დალოცოს აღმაშენებელნი ამა ტაძრისანი!

**ლევან გაბეჩავა**

***ხუთი წლის წინ***
***სამ ნოემბერს დიდი ზეიმი იყო სამტრედიაში.***

***უწმინდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსსა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, ილია მეორეს წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის შესანიშნავი საკათედრო ტაძარი უნდა ეკურთხებინა.***

***ტაძარი, რომელსაც სრულიად სამტრედია აშენებდა, აშენებდა წვიმაში, დარში, ავდარში, ქარში, სიცხეში...***

უფლის მადლობად, წყალობად აღიქვამს თითოეული ჩვენგანი 145 წლის სამტრედიაში ბრწყინვალე ტაძრის არსებობას.

ხუთი წელი ხდება სამ ნოემბერს ტაძრის გახსნიდან.

ამასთან დაკავშირებით გადავწყვიტეთ გავსაუბრებოდით კაცს, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა ტაძრის მშენებლობაში.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი კობა ძიძიგური ტაძრის მშენებლობის დეტალებს იხსენებს.

... 2000 წლის აპრილში გავთავისუფლდით ციხიდან, ჩემი ძმის ზვიად ძიძიგურის ინიციატივით გადავწყვიტეთ გაგვეგრძელებია ტაძრის მშენებლობა, იმთავითვე დავუკავშირდით ბატონებს: გენო გეგეშიძეს, ავთანდილ ადეიშვილს, ჯონი ნადირაძეს, ზაზა ვაშაკიძეს და სხვებს, რათა ერთობლივად ორგანიზება გაგვეკეთებია მშენებლობისათვის.

მინდა ვთქვა, რომ ავჭალის კოლონიაში ყოფნითაც ბევრი რამ შევიძინე ქვის მთლელის, ჩუქურთმის კვეთის პროფესია ავითვისე, ტაძარიც ავაგეთ ღვთის წყალობით კოლონიაში.

რაც შეეხება სამტრედიის საკათედრო ტაძარს, მისი მშენებლობის პროცესში მოკრძალებული წვლილი შევიტანე, ახალგაზრდა, დაინტერესებულ მრევლს ქვის თლა, ჩუქურთმის კვეთა შევასწავლე, რა თქმა უნდა, ყველაფერი საპატრიარქოს სპეციალურ საბჭოსთან შეთანხმებით, მათი მეთვალყურეობის ქვეშ კეთდებოდა.

_ საბჭოს მამა ბესარიონი (მენაბდე) ხელმძღვანელობს, უშუალოდ კი ხელოვნებათმცოდნეებთან ქეთევან აბაშიძესა და ნიკოლოზ (კოკი) დადიანთან გვქონდა ურთიერთობა, გვეუბნება ბატონი კობა და დასძენს, რომ მაშინ, როცა ტაძრის მშენებლობა უფულობის გამო შეჩერებული იყო, დიდ თანხებთან გახლდათ დაკავშირებული უკვე გამზადებული ქვების მოტანა, საჭირო იყო ქვის სახერხი საამქროს ადგილზე გამართვა, რაშიც დიდი წვლილი შეიტანეს მამა-შვილმა ზურაბ და დავით ქვირიებმა, რომლებმაც ტაძრის აშენებამდე სარგებლობაში ქვის სახერხი დანადგარი გადმოგვცეს.

მწუხარებით საუბრობს ბატონი კობა ავთანდილ ადეიშვილის, კახა ჯოჯუას, ზურაბ ქვირიას მისამართით, ადრე რომ გადასახლდნენ იმიერში.



ტაძრის მშენებლობისას აქტიურობისა და განსაკუთრებული წვლილისათვის რესპონდენტი ლევან და ედუარდ ახობაძეებს, ზაზა ადეიშვილს, კობა ბიბილეიშვილსა და სხვებს სამადლობელით მიმართავს და ამაგს არც მამუკა რუხაძეს, ავთო ბახტაძეს, ირაკლი აბაშიძესა და იმ სამტრედიელებს უკარგავს, დღემდე რომ იღებენ მონაწილეობას ტაძრისათვის საბოლოო სახის მიცემაში.

_ შეუძლებელია ისაუბრო ტაძრის მშენებლობის პროცესზე და არაფერი ითქვას იმ განუზომელ წვლილზე, მხარდაჭერაზე, რასაც მშენებლობის დაწყებიდან დღემდე ვგრძნობთ მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესის, ხონი-სამტრედიის ეპარქიის მმართველის, მიტროპოლიტ მეუფე საბასაგან. ყველაფერი მისი ლოცვა-კურთხევით კეთდება.

ერთხელ, საჭირო შეიქნა რამდენიმე ტონა ცემენტი, არანაირი საშუალება არ გვქონდა, მეუფის ჩარევის შემდეგ მშენებლებმა ცემენტი მიიღეს და მუშაობაც არ შეფერხებულაო. _ აღნიშნავს ბატონი კობა.

ირიჟრაჟა, ქალაქმა გაიღვიძა.

ცადაზიდული ტაძრის სამრეკლოდან ზარების ხმა ისმის.

თავისთან უხმობს მრევლს ტაძარი წმინდა.

როგორც აღვნიშნეთ, სამ ნოემბერს ხუთი წელი ხდება ტაძრის კურთხევიდან. ამ მოვლენას ვულოცავთ ჩვენს რესპონდენტს, ბატონ კობა ძიძიგურს, კაცს, რომელმაც ცხოვრების შეგნებული წლები ღვთიურ საქმეს მოახმარა, ჩუმად, უპრეტენზიოდ, პოპულიზმის გარეშე.

ვულოცავთ ყველას, ვინც, თუნდაც, მოკრძალებული წვლილი შეიტანა ტაძრის აღმშენებლობაში.

ღმერთმა დალოცოს აღმაშენებელნი ამა ტაძრისანი!

# “ზეცისა კაცი და ქუეყანისა ანგელოზი”

ასე მიუწვდომლად ბრწყინვალებს VIII-IX საუკუნეების წმინდა მამისა და სახელმწიფო მოღვაწის, გრიგოლ ხანძთელის სახელი და “ნაქმნარი საქმენი” გიორგი მერჩულეს თხზულებაში “ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა”.

გრიგოლ ხანძთელი გაცისკროვნებული ყოფილა იმ ღვთაებრივი შუქით, რაც თავიდანვე დიდი მოწიწებით განაწყობდა მისადმი ყველას. გრიგოლს უპირველესად იზიდავდა არა ე. წ. “თეთრი სამღვდელოება” (საერო, სამრევლო ეკლესიებში გარკვეული პრივილეგიების მქონე ღვთისმსახურთა ფენა), არამედ “შავი სამღვდელოება” (უკაცრიელ ადგილებში განდგომილი ბერ-მონაზვნობა), რომლებიც ღვთისმსახურებას ცხოვრების უმკაცრეს პირობებში ეწეოდნენ.

ნიშანდობლივია გრიგოლის პირველი შეხვედრა ხანძთელ დაყუდებულ ბერ ხუედიოსთან. ხანძთაში მარტოდ დარჩენილმა ბერმა, რომელსაც მთელი ცხოვრება ღვთის მსახურებაში ჰქონდა გატარებული, იმთავითვე დაინახა ახალგაზრდა კაცში დიდი მოღვაწე და ამ ადგილების ამაღორძინებელი.

ხუედიოსს ეუწყა ღვთისაგან, რომ ხანძთას მოევლინებოდა მოღვაწე, ვინაც წარმოაჩენდა ამ ადგილის დრომდე დაფარულ მადლს. მარტოდ დაყუდებული ბერისათვის დიდი სულიერი მნიშვნელობა ჰქონდა გრიგოლის მოსვლას. მოწიწებით შეხვდა ხუედიოსი გრიგოლს.

გიორგი მერჩულე არაერთგზის შენიშნავს, რომ გრიგოლის სიტყვას არავინ ეურჩებოდაო: “ნეტარი მამაი ჩუენი გრიგოლ პატივცემულ იყო ზეგარდმო ღმრთისა მიერ და ჟამთა მისთა არავინ ურჩ იყო სიტყუათა მისთა უფროის, ხოლო ხელმწიფენი მის ჟამისანი”.

რა უნდა ყოფილიყო მიზეზი, რომ ყოველივე მატერიალურისაგან განძარცული ბერის ნებას კანონად მიიჩნევდნენ ხელმწიფე და უბრალო მონაზონიც. მასთან ურთიერთობისას თითქოს სცილდებოდათ პატივმოყვარეობისა და ქედმაღლობის საბურველი და მის წინაშე იდგნენ, ვითარცა განკითხვის ჟამს უმაღლესი მსაჯულის წინაშე. “ქართაგან ძლიერთა” შეჭირვებული ერი მას აღიქვამდა “ზეცისა კაცად და ქუეყანისა ანგელოზად”, ღვთის ნების მცნობლად და აღმაშენებლად, უდაბნოში მოვლენილს იმ ვარსკვლავად, რომელიც თავის დროზე ქრისტეშობის მაუწყებლად გამოჩნდა ცაზე. გრიგოლი მიჩნეულ იყო ტაო-კლარჯეთის ქართველთა სამეფოს ისეთ მამამთავრად, რომელიც მთელი საქართველოს მომავალს ამზადებდა და “ვერავის ხელეწიფებოდა” მაშინ ამგვარ მამამთავრად ყოფნა, ვერც კურაპალატს, ვერც დასავლეთ საქართველოს მეფეს და ვერც კათალიკოსს. ამიტომაც გრიგოლ ხანძთელი ყოველ მათგანზე ამაღლებულადაა წარმოდგენილი გიორგი მერჩულეს ძეგლში.

102 წლის ასაკში (861 წ.) აღესრულა უდიდესი ქართველი მამა გრიგოლ ხანძთელი. წმინდა ბერისა და მის მიმდევართა დაუცხრომელი, თავდაუზოგავი ღვაწლით აგებული ტაძრებისა და მონასტრების დიდებული ნაშთები კი: ხანძთა, ოპიზა, მერე, შატბერდი, ბერთა, იშხანი... დღესაც ამშვენებენ საქართველოს ამ ძირძველი კუთხის _ ტაო-კლარჯეთის მიდამოებს.

ამასთან, რაოდენ მრავლის მთქმელი და საამაყოა, ტაო-კლარჯეთისა და სრულიად საქართველოს უდიდესი მოძღვრის ამა სოფლიდან განსვლის დღეს მასთან კურთხევის მისაღებად და გამოსამშვიდობებლად უამრავი მეუდაბნოე მამა შეიკრიბა. წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით წმინდანებად შერაცხულნი არიან წმინდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში მოხსენიებული მოღვაწე მამები.

***ვალერიან თევზაძე***
***აკადემიური დოქტორი***

**ამ დღეებში საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია წმინდა ბერს მამა გაბრიელ აღმსარებელსა და სალოსს იხსენებს.**



# გზა ევროპისაკენ _ უშანგი მარგიანი საქართველოს ჩემპიონი გახდა

ნინო ნანიტაშვილი

**21 ოქტომბერს დაიწყო და 23 ოქტომბრის ჩათვლით გაგრძელდა საქართველოს ჩემპიონატი ჭიდაობა ძიუდოში. ასპარეზობებში 23 წლამდე ასაკის ახალგაზრდები მონაწილეობდნენ. აღნიშნული შეჯიბრი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი გახლავთ, სადაც მოგებას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება.**

ამ შეჯიბრის სპეციფიკიდან გამომდინარე მხოლოდ პირველ ადგილზე გასულ სპორტსმენს ეძლევა შანსი, ევროპის ჩემპიონატებში მიიღოს მონაწილეობა. საპრიზო _ მე-2 და მე-3 ადგილებზე გასულ ძიუდოისტებს შესაძლებლობა წართმეული აქვთ ეასპარეზათ ევროპის ჩემპიონატზე.



ორთაბრძოლებში თავიდანვე დიდი დაძაბულობა იყო, ელემენტარულ შეცდომას ძალიან მძიმე შედეგი შეეძლო მოეტანა. საქართველოს ჩემპიონატში სამტრედიის კლუბ "ფალავანის" (დირექტორი ირაკლი მელაშვილი) აღზრდილი, ტიტულოვანი ძიუდოისტი უშანგი მარგიანი ღებულობდა მონაწილეობას.

"სამტრედიის მაცნეს" მკითხველს შევახსენებთ, უშანგი მარგიანი გახლავთ 2014 წლის ევროპის ვერცხლის პრიზიორი ახალგაზრდებს შორის, ევროპის ჩემპიონი უფროსი ასაკის მამაკაცებს შორის კლუბურ ჩემპიონატში და მსოფლიოს პრიზიორი გუნდურ პირველობაში, ასევე, საქართველოს სამგზის ჩემპიონი.

უშანგი მარგიანი თავიდანვე ფავორიტებს შორის მოიაზრებოდა, ამიტომ იგი პირველ ნომრად იყო განთესილი, რამაც საშუალება მისცა უშანგი მარგიანს, პირველ შეხვედრაში დაესვენა.

ფინალურ ეტაპამდე სამტრედიელმა ფალავანმა კიდევ ორი შეხვედრა მოიგო, თბილისელი და გორელი ძიუდოისტები დიდი უპირატესობით დაამარცხა. ფინალში დაუპირისპირდა ევროპისა და მსოფლიოს პრიზიორს, ონისე სანებლიძეს. უშანგიმ თბილისელი ძიუდოისტი იპონი გდებით დაამარცხა და დაიკავა პირველი ადგილი, რითაც მოიპოვა ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობის საგზური, რომელიც, სავარუდოდ, 11-12 ნოემბერს გაიმართება.

უშანგი მარგიანის მორიგ ჩემპიონობაზე "სამტრედიის მაცნეს" ტრადიციულად დაუკავშირდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ჭიდაობა ძიუდოში, ავთანდილ თარგამაძე. საქართველოს ჩემპიონატიდან მან შეფასება მისცა კლუბ "ფალავანში" დაფრთიანებულ ძიუდოისტს: "შეჯიბრებამ გვიჩვენა, რომ უშანგი მარგიანი ბრწყინვალე სპორტულ ფორმაში იმყოფება. აქვს კარგი ფუნქციონალური მომზადება-გამძლეობა, რაც ერთ-ერთი უმთავრესი იარაღი აღმოჩნდა აღნიშნულ სიტუაციაში. მადლობა მინდა, თქვენი გაზეთის მეშვეობით გადავუხადო მწვრთნელებს, ბესარიონ შვანგირაძეს და ბადრი შენგელიას იმ ღვაწლისთვის, რაც მათ უშანგის გამარჯვების მიღწევაში ჩადეს".

# ექიმი _ საავადმყოფოში, წამალი _ აფთიაქში, ხაში _ სახაშეში



ლევან გაბეჩავა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაზე განუხრელი ზრუნვა იყო და არის ნებისმიერი საზოგადოებრივი ფორმაციისას ხელისუფლების ზრუნვის საგანი.

გამონაკლისს ამ კუთხით არც საქართველოს ამჟამინდელი მთავრობა წარმოადგენს.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები რომ განხორციელდა ქვეყანაში საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის წარმატებით გადაჭრისათვის ცხადზე უცხადესი და მისასალმებელია.

ახლა C ჰეპატიტის პროგრამა... ასობით გამოჯანმრთელებული ადამიანი.

C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა მანამ გაგრძელდება, ვიდრე ყველა ავადმყოფი არ განიკურნება, განაცხადა ამ დღეებში საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა, ბატონმა დავით სერგეენკომ.

მიუხედავად აღნიშნულისა, არის საკითხები, რომელთა მოგვარებაზეც ისევ ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს.

გარემოებათა გამო, ბოლო წლების განმავლობაში, ბევრი ექიმი, სამედიცინო პერსონალი აღმოჩნდა საავადმყოფოების მიღმა.

ბრძოლა არსებობისათვის გრძელდება და ბევრმა მათგანმა თავს იმით უშველა, რომ გამოთავისუფლებული ფართი ან იქირავეს, ან დაისაკუთრეს და შიგ განთავსდნენ, იქვე ეწევიან სამედიცინო პრაქტიკას და სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ არც პაციენტთა სიმცირეს უჩივიან.

ასე მოხდა საქართველოში, რაღა თქმა უნდა, სამტრედიაში.

ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ყოფილ საწარმოში, ყოფილ სახაშეში, ყოფილ... ექიმთა კაბინეტებისა და კაბინეტებთან მომლოდინე პაციენტთა რიგების ხილვა, რაც ჩვენი აზრით არაესთეტურია.

რიგი შენიშვნები სისუფთავის მხრივ თვით საავადმყოფოების მიმართაც აქვთ (ზოგადად) პაციენტებს და ადვილი წარმოსადგენია, რა ვითარება იქნება იქ, სადაც ექიმიცა და ავადმყოფიც გამოუვალი მდგომარეობის გამო აღმოჩდნენ. თუმცა, იდეალური სისუფთავეც რომაა ისეთი ადგილებიც მრავლადაა.

ამას წინათ, ბაბორა ბუაძის სახელობის სტომატოლოგიურ პოლიკლინიკას ვეწვიე საგაზეთო მასალის მოსამზადებლად.

მთავარმა ექიმმა, ქალბატონმა ქეთევან კახიანმა, რომ იტყვიან, ყოველი კუთხე-კუნჭული შემომატარა და გავვოცდი, თავი თეთრ ღრუბლებში ვიგრძენი, სიქათქათე, სისუფთავე ირგვლივ თვალშისაცემი იყო.

ახლა სხვა სტომატოლოგიურ კაბინეტებში შევიხედოთ... წერტილს აქვე დავსვამთ, ამჯერად არ გვსურს ვინმეს ვაწყენინოთ, თუმცა **კანონის ფარგლებში ვიტოვებთ პროფესიულ უფლებას, იმათზეც რამდენიმე სიტყვა ვთქვათ სამომავლოდ, ნებსით თუ უნებლიედ რიგი სტანდარტების გვერდის ავლით რომ უწევთ პროფესიული საქმიანობის წარმართვა.**

არ უნდა იყოს ლამაზი (ყველაფერს რომ თავი დავანებოთ) შეუფერებელ გარემოში აფთიაქის, ექიმის კაბინეტის ხილვა.

ასეთ შემთხვევებში ხომ ამ მედიკოსთა ქათქათა ხალათიც თალხითაა დაფერილი არაპირდაპირი მნიშვნელობით.

დაბოლოს, როგორც ვთქვით, წერილი მარტო სამტრედიის რეალობას არ ეხება.

სხვა პეწი, გარემო რომ უნდა იყოს იქ, სადაც ექიმებს, მედიკოსებს, ფარმაცევტებს უწევთ საქმიანობა, ამაზე ნურავინ გაჯავრდება თუ არ დაგვეთანხმება.

ასე რომ, ექიმები _ საავადმყოფოში, წამალი _ აფთიაქში, ხაში _ სახაშეში.

# უშვილობის პრობლემების ეფექტურად დაძლევა რომ მოხდეს

ნინო ნანიტაშვილი

"საქართველოს წითელი ჯვრის" საზოგადოების სამტრედიის ფილიალში 26 ოქტომბერს ACIBADEM მასლაკის სამედიცინო ცენტრის თურქული მხარის წარმომადგენლები სტუმრად იმყოფებოდნენ. ინვიტრო განაყოფიერების სამედიცინო ცენტრის თანამშრომლები "წითელი ჯვრის" სამტრედიის ფილიალის ოფისში "ჯეოჰოსპიტალსის" პოლიკლინიკური განყოფილების გამგეს, ლუარა კახიანს, იქაურ მეან გინეკოლოგებს და სოფლის ამბულატორიის ექიმებს შეხვდნენ. მისალმებისა და გაცნობის შემდეგ თურქული სამედიცინო ცენტრის წარმომადგენელმა კავკასიაში გიორგი სასირელმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო კლინიკის მეთოდოლოგია, მიღწევები, სამედიცინო სერვისები.



თურქულ მხარეს წარმოადგენდა ინვიტრო განაყოფიერების სამედიცინო ცენტრის ხელმძღვანელის, პროფესორ, ბიულენტ ტირაშის თანაშემწე, მურატ კაია.

სამტრედიაში შეხვედრას წინ უძღვოდა 16 ივნისს თბილისში გამართული კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდნენ "საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების" რეგიონული ფილიალების აღმასრულებელი მდივნები, მეან გინეკოლოგები და ოჯახის ექიმები. ამდენად, თურქული წარმომადგენლობის სტუმრობა სამტრედიაში მოულოდნელი არ იყო სამტრედიელი ექიმებისთვის. ფაქტობრივად, ეს მეორე საქმიანი შეხვედრა იყო, სადაც გამოიკვეთა ის სიკეთეები, რითაც ქართველმა უშვილო დედებმა შუამავლის გარეშე შეიძლება ისარგებლონ, იყოს უფრო ეფექტური კომუნიკაცია ქართულ და თურქულ მხარეებს შორის.

ნათია პაპავა, "საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების" სამტრედიის ფილიალის აღმასრულებელი მდივანი: "ეს იყო ძალიან საინტერესო და საქმიანი შეხვედრა, გადაიდგა პირველი ნაბიჯები, სამტრედიელმა მეან გინეკოლოგებმა, სოფლის ამბულატორიების ექიმებმა მიიღონ ზუსტი ინფორმაცია წარმატებული თურქული სამედიცინო ცენტრის საქმიანობის შესახებ, რათა მომავალში სამტრედიელი უშვილო დედების პრობლემების ეფექტურად დაძლევა მოხდეს. როგორც გიორგი სასირელის, ასევე, მურატ კაიას საუბრებიდან გამოიკვეთა, ACIBADEM-ი მსოფლიოში ერთ-ერთი უმაღლესი სტანდარტების მქონე კლინიკაა, მათ მოხსენებებში ითქვა, რომ ქართველი, მათ შორის, სამტრედიელი პაციენტებისთვის იქნება შეღავათები. "წითელი ჯვარი" დაინტერესებულ ადამიანებს დაეხმარება თურქულ კლინიკასთან კომუნიკაციაში. შეუძლიათ, პირადად მიმართონ იმ ექიმებს, რომლებიც აღნიშნულ პროგრამაში არიან ჩართულები".





# "აი ია – დედაენის დასაწყისი"

ნათია ნაცვლიშვილი

***"პაწია წიგნი ბედ-იღბლით კიდობანს გამოემგვანა, და რაც შიგ გადანახულა, ის გადაარჩენს ქვეყანას" _ იმეორებენ მე-4 საჯარო სკოლის პირველკლასელები შოთა ნიშნიანიძისეულ ქებათა-ქებას "დედაენისას" და ამის შემყურე გრძნობ, რომ ყველაზე მეტად სწორედ ამ პატარებს ესადაგებათ პოეტის ეს სიტყვები, ისინი თითქოს სულ ახლახან ამოფრინდნენ ერის საგანძურად ქცეული ამ წიგნიდან, რათა დაფრთიანდნენ, დაკვალიანდნენ, ცხოვრების ანი და ჰოე შეიმეცნონ სწორედ სამშობლოს, თავიანთი ლამაზი საქართველოს გადასარჩენად.***

პირველკლასელთა დამრიგებელი ირინა ბექაიაა, ირინა მასწავლებლის მოსწავლეები დღეს აი იას მასპინძლობენ, ქართულ ანბანს უძღვნიან ქებას, 28-ვე პატარა იისფერი ბაფთით მორთულა. იაც აქ ზის, მორცხვად და ლამაზად. ოთახი იისფრად მოურთავ-მოუკაზმავთ, ენით აუწერელი სილამაზეა ირგვლივ, ნატვრის ხეზე ქართული ანბანი ასხმულა მძივებად. მასწავლებელი ენერგიას არ იშურებს, რომ პატარები ულამაზეს სამყაროში ამოგზაუროს, შეკითხვებს პასუხები მოჰყვება, კლასი აქტიურია, პედაგოგის შრომის შედეგი სახეზეა, საგაკვეთილო სივრცე დატვირთულია სხვადასხვა თვალსაჩინოებით, ეკრანზეც წარმოჩნდება და პედაგოგსაც ხელთ უპყრია იაკობის "დედაენის" ძველი ვარიანტი, რათა ბავშვებმა პარალელი გაავლონ მის თანამედროვე ვერსიასთან. ინდიგო თაობა ინტერესით მონუსხული უყურებს ეკრანს, სადაც ანბანის 33-ვე ასო-ბგერა მუსიკალურად ხმიანობს. "დედა ენის" ძეგლის შესახებ უყვება მათ მასწავლებელი, უამრავი რჩევა-დარიგება მისცა, თუ როგორ უნდა უერთგულონ ამ საუნჯეს, რატომ უნდა შეიყვარონ იგი. პატარებმა სილაღითა და თავდაჯერებით წარმოთქვეს ლექსები "დედაენაზე" და ქართული ანბანის სამყაროში სამოგზაუროდ მოემზადნენ.

საინტერესო გაკვეთილს დაესწრნენ სკოლის დაწყებითების კათედრის ხელმძღვანელი, ხათუნა ლორია, კათედრის პედაგოგები: ნანა ჯღარკავა, ირმა გაგუა, შორენა თევზაძე, მარინა აბულაძე და სპეცპედაგოგი ნინო შარაშენიძე, რომელიც მირზა კალაძის პედაგოგია.

სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ, ირმა ზარნაძემ პედაგოგის მიერ გაწეული შრომა შეაფასა და აღნიშნა:

"მადლობა პედაგოგს, მოსწავლეებს, მშობლებს, ამ შესანიშნავი გაკვეთლისთვის, უნიჭიერესი, უძვირფასესი ბავშვები გყავთ ირინა მასწავლებელო, ყველანი ჩართულნი არიან საგაკვეთილო პროცესში, მშობლებიც გვერდით გიდგანან, ვარ თვითმხილველი, როგორი მონდომებით რთავდნენ ამ გაკვეთილისთვის ოთახს, ცოდნის მწვერვალების დასაპყრობად გევლოთ მუდამ წინ".

შორენა თევზაძე: "ორმაგად კმაყოფილი ვარ, როგორც მშობელი და როგორც პედაგოგი, უდიდესი მადლობა ირინა მასწავლებელო ამ ლამაზი დღის ჩუქებისთვის, იმედია, კვლავ ბევრ ასეთ ლამაზ გაკვეთილს დავესწრებით. უამრავ წარმატებას გისურვებთ!"

№ 1 საჯარო სკოლის ქართული ენის და ლიტერატურის პედაგოგი, ეკა შვანგირაძე მშობლის სტატუსით დაესწრო გაკვეთილს. მან აღნიშნა: "ბედნიერი ვარ, მე და მირზა თქვენთან ყოფნის სიხარულს რომ ვიზიარებთ. სწავლაში ბეჯითობას გისურვებთ ბავშვებო, ისეთი კარგი პედაგოგი გყავთ, ისეთი მშობლები, რომ არ ისწავლოთ დანაშაულია, ჩემს მირზას ყველანი ძალიან უყვარხართ, როგორც შეგვეძლება, თქვენს გვერდით ვიქნებით".

"ძალიან კარგები ხართ ბავშვებო, მადლობა პედაგოგს, თქვენ, მშობლებს ასეთი ლამაზი და ორიგინალური გაკვეთილისთვის". _ აღნიშნა ნანა ჯღარკავამ.







***

ცაში ვისვრი ბადეს,
ჰაერში ვიჭერ ლანდებს,
შენდამი ჩემი გრძნობა,
უამრავ კითხვას ბადებს.
გპასუხობ მშვიდად, ვიცდი...
შენ კი არ იღებ ხმას.
შენი სიჩუმე თითქმის,
წაკითხულ ზღაპარს ჰგავს.
ნისლი, ღრუბელი, წვიმა...
დღე ისე ნელა გადის...
მე უშენობა მტკივა,
გარეთ ვიღაცა დადის.
თან მელოდიურ ჰანგებს,
ღიღინებს მისთვის წყნარად,
აკორდებს უცვლის, აგებს,
გიტარა _ ხელში ქნარად.
რაღაც მაწუხებს თითქოს,
მაგრამ ვერ ვბედავ ჩივილს,
ის დაჟინებით ითხოვს,
ზარების გაბმულ კივილს.
ნისლი, ღრუბელი, წვიმა...
იდუმალ სათქმელს მიმხვდარხარ...
მაესტრო _ ხელში გიტარა,
პოეტი: მე შენ მიყვარხარ!

***

ისე, უბრალოდ მოგიკითხე,
იცი? ცა თითქოს ამეტყველდა,
იცი? ვარსკვლავებმა რომ გკითხეს,
ვუთხარი _ "წვიმის წვეთებს აედევნა".
არ დამიჯერეს და რჩევა მომცეს,
რა არის დაკარგვაზე ადვილიო,
შენ მისი პოვნა არ გიცდია,
მიტომაც გაიზარდა მანძილიო.
"სიკეთე ეძებე, ყველაში და
სიყვარულს არსებობა დააცადე,
ეგოიზმს გადაიტან ჩვევაში და
ივიწყებ, რაც მანამდე განიცადე.
ივიწყებ, მიჯნურობის წესს და კანონს,
თავდავიწყებაში ურცხვად ნუ ეფლობი,
მალულად, თავდახრილმა, სრულიად უანგაროდ,
არა ისე როგორც, რიგითი გასართობი.
ალალმართალი კაცის სახელი გაქვს,
ცხოვრობ პატიოსნად, შეძლებისდაგვარად,
მხრებით მიწიერი ცოდვა დაგაქვს,
და მაინც იქცევი სულ სხვაგვარად.
მეტი სიფრთხილე და მეტი მოთმინება,
აი რა გმართებს, შენ, ჩემო მეგობარო,
მოყვასის სიყვარული, კრძალვა და მორიდება,
ნათელ მომავალს, ეს უნდა მოახმარო."

*მამუკა ბიბილეიშვილი*

## მამულეთი

მოვდივარ და მომიხარის,
გული მომაქვს საგულეთი,
სადაც არის იმერთ მხარის
შემომხვდება მამულეთი.
სადაც არის ფართე შარა,
მიმავალი მთიდან ზღვაზე.
გაიშლება, როგორც ფარა,
შეფენილი იალაღზე.
აშრიალდა ხეივანი,
ჭადრების და ალვის ხეთა,
სულ სხვა ფერი, სულ სხვაგვარი
სურნელება შემეფეთა.
მოვდივარ და ნუთუ ღმერთო,
არის კიდევ მსგავსი რამე?
ეს რა სითბო შემომენთო,
რა სიტკბო და რა სიამე.
ჩემო ტკბილო მამულეთო,
ველ-მინდვრებო მოქარგულო,
იებით და გვირილებით,
ალაგ-ალაგ მოფანტულო.
სულ პატარას, ბაბთებიანს,
მახსოვს, როგორ მომეფერე,
სამტრედია, სამტრედია,
შენ ხარ ჩემი ტკბილი კერა.
დრო მიდის თუმც, ის რაც მითქვამს,
ის რაც იყო არის ახლაც,
ჩემს სიტყვას თუ ჩემს სულისთქმას
შენეული ხიბლი ახლავს.
მზე რომ დილას გამითენებს,
მტრედისფრადო, რა მტრედია,
გენაცვალე, შემოგევლე,
ჩემო ტკბილო სამტრედია!

*გულნარა სტურუა*

## ისევ ერთმანეთს

რომ ვთქვათ სიმართლე, თან დავიჯეროთ,
რასაც სიმართლე ჰქვია ნამდვილად
და გავიხსენოთ, მხოლოდ წინა დღე
იყო სურვილის გამოძახილად.
ან რომ შევჩივლოთ ისევ ერთმანეთს,
რაც სურვილები ვერ ავისრულეთ,
გულში კი დარჩა მხოლოდ ერთადერთს,
ერთადერთს მართლაც რომ მოვისურვებთ.
რომ ჩვენი არის ეს დღე და ხანი,
რომ ეს ფიქრები სადაც იხსნება,
სადაც ინთება სურვილის ქნარი,
რომ სულში ფიქრად არ ინისლება.
მე მივეჩვიე შენს გამო ფიქრებს,
შენს მაგიერი ფიქრის გარეშე,
შენი სინდისი ამას მოითმენს,
თუმც შენს სინდისზე გულს არ ვაქეზებ.
და რომ ვთქვათ ისევ ყურადსაღებად,
ყურადსაღები გახდება განა?!
გადაიხსნება სული თაღებად,
სადაც სურვილად მზემ მოატანა.

*დავით ჩირგაძე*

## ნაკვ(ნ)იტები

მაღლა იწევს დოლარი,
ავადაა ლარი,
გაგვიძვირეს შაქარი,
ნიორი, წამალი...
ველარ გვაიმედებენ,
ვაი, ჩვენი ბრალი!..

***

ყველა წიგნს წერს, ვისაც კი
მოეძალა ფიქრები.
წიგნი მეც რომ დავწერო,
მწერალი თუ ვიქნები?

*ლევან გაბეჩავა*

# მეამბოხე ჩახლეჩილი ხმით...

**ნათია ნაცვლიშვილი**

"ანკარა ხმა მქონდა, მაგრამ... პატარა რომ ვიყავი, ჩვენს სოფელში, ზემო ფარცხმაში ვიყავი ბებია-ბაბუასთან. ძმაკაცის ბაბუა ჭაჭის არაყს ხდიდა, პატარა ბიჭებმა ცხელი არაყი ვსვით. მარტო ის მახსოვს, სველ ზეწრებში რომ გაგვახვიეს, მერე გონება დავკარგე და ჩემი ხმაც იმ დღემ შეიწირა". _ ნახევრად ხუმრობით იგონებდა ოთარ რამიშვილი, უკვე საქვეყნოდ ცნობილი მომღერალი, კომპოზიტორი, პოეტი, თბილისის კოლორიტი ბავშვობის ერთ ეპიზოდს. ცხოვრებისეული პარადოქსია, მრავალი დაუვიწყარი, ჰიტად ქცეული სიმღერის ავტორს, ფილარმონიაში გამართულ მის პირველ სოლო კონცერტზე არ უშვებდნენ თურმე. შენობასთან მოზღვავებულ ხალხს მილიციის კორდონი აკავებდა. გენიალურ შემსრულებელს არ უშვებდნენ, ბილეთი არ გაქვსო. დიდხანს ამტკიცებდა, რომ ოთარ რამიშვილი იყო და თავად უნდა ემღერა. შენ რა უნდა იმღერო, ძლივს ხლიჩინებო. _ უთქვამს პოლიციელს მისთვის.

სწორედ ამ ჩახლეჩილმა და გაბზარულმა ხმამ აქცია ოთარ რამიშვილი ბრენდად, ამ ჩახლეჩილი ხმით შესრულებული მისი სიმღერები ჰიტებად იქცნენ. მისი მეუღლე, ქალბატონი გულნაზი ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს, ოთარი ასპარეზზე თავისი მართალი და გაბედული სიმღერებით რომ გამოჩნდა, მას კრაზანა უწოდესო. "დიდ საბჭოეთში" ამბოხი სულის ხელოვანი, ბუნებრივია, ყველას მოსაწონ სიმღერებს ვერ შექმნიდა.

24 ოქტომბერი ამ ნიჭიერი შემოქმედის დაბადების დღეა, სამტრედიასთან ხელოვანს ბევრი თბილი მოგონება აკავშირებს. სამტრედიელებსაც ძალიან უყვართ მათი ცნობილი სიძე. ამ წერილის ავტორი მას მანამდეც იცნობდა, ვიდრე ჟურნალისტური მისიით შინ, ოჯახში ესტუმრებოდა. ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეს მახსოვს, მე-6 საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩახლეჩილი ხმით რომ გაგვეცნო მოსწავლეებს: ბავშვებო, იცნობთ თქვენ ოთარ რამიშვილსო?

ოთარ რამიშვილთან შეხება ვისაც კი ჰქონია, არასოდეს დაავიწყდება მისი წარუშლელი იუმორის ნიჭი. ის მოსწავლეებს გიტარაზე დაკვრასაც ასწავლიდა და ადამიანობის გაკვეთილებსაც უტარებდა. მისი მოსწავლეები იყვნენ: გიო ხუციშვილი, ზურაბ მანჯავიძე, ნანა მესხი, ზურაბ კობეშავიძე და სხვები...

ერთხელ, თურმე, დაურეკეს და ჰკითხეს, ბავშვის მოყვანა გვინდა თქვენთან და როგორ ფიქრობთ, ერთ თვეში თქვენსავით დაკვრას თუ შეძლებსო? ოთარ რამიშვილს უპასუხნია: ქალბატონო, ერთ თვეში როგორ უნდა დაუკრას, გრიპი ხომ არ არის, ვაკოცო და გადაედოს? ამ დროში ჩემს მისამართს თუ ისწავლის მხოლოდო.

2011 წლის შემოდგომა ოთარ რამიშვილისთვის უკანასკნელი აღმოჩნდა. 5 ოქტომბერს მეუღლეს დაუბარა: "მე 22 რიცხვამდე ვერ ვიცოცხლებ და ჩემს დაბადების დღეს ვერ დავესწრები, მაგრამ შენ არ ინერვიულო, მე პანთეონში დამკრძალავენო"... 76-ე დაბადების დღეს ვერ მოესწრო, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ აღესრულა. ხელოვანი წავიდა, თორემ ფრაზები მისი სიმღერებიდან უკვდავნი რჩებიან. ასე მაგალითად: "ამაზე კარგი რა უნდა იყოს, კაცს თაფლი მისცე და ღმერთს სანთელი".




## თამაზ იმედაძის გახსენება

ერთი წელი გავიდა სამტრედიის რაიონის ყოფილი თავკაცის, ბატონ თამაზ შალვას ძე იმედაძის გარდაცვალებიდან.

იგი სრული ათი წელი ხელმძღვანელობდა რაიონს და იმის მიუხედავად, რომ არ გახლდათ რაიონის მკვიდრი, ყველაფერს აკეთებდა სამტრედიელთა კეთილდღეობისათვის.



ბატონი თამაზი იხსენებდა: როცა სამტრედიაში რაიონის თავკაცად მიშვებდნენ, რესპუბლიკის მაშინდელმა ხელმძღვანელებმა გამაფრთხილეს, რომ მაბარებდნენ ქვეყნის ერთ-ერთ უმსხვილეს სარკინიგზო კვანძს, სამრეწველო არტერიას და დიდი ნდობა უნდა გამემართლებიაო.

დღეის გადასახედიდან შეიძლება ითქვას, რომ მან ბრწყინვალედ გაართვა თავი მაღალ ნდობას.

ახალგაზრდა, პერსპექტიული კადრების აღმომჩენი, გზამკვლევი, ერუდირებული და კომუნიკაბელური, საოცრად პასუხისმგებლიანი კაცი იყო ბატონი თამაზი.

ეს თვისებები ახასიათებდა მას ხელმძღვანელ კომკავშირულ, პარტიულ ორგანოებში მუშაობისას, მაშინაც, როცა სამინისტროს მაღალი რანგის ხელმძღვანელი იყო და მეცნიერულ მუშაობას ეწეოდა.

თავს ბედნიერად ვგრძნობ, წლების მანძილზე მისი ნდობით რომ ვსარგებლობდი, მასთან ერთად რომ ვმუშაობდი.

ბევრი კარგი რამ გაკეთდა, არაერთ ინიციატივას ჩაეყარა საფუძველი მისი პირველკაცობისას, რა თქმა უნდა, იმ გუნდთან ერთად, მაშინ რომ იყვნენ ხელისუფლებაში.

წელი გავიდა ღირსეული ქართველი კაცის, უნარიანი, საქმის მცოდნე ხელმძღვანელის თამაზ იმედაძის გარდაცვალებიდან. იგი იყო და დარჩა კაცად, ადამიანად.

ნათელში ამყოფოს უფალმა!

*გია ბოჭორიშვილი*

## ანზორიკო გაგუას მონატრება

ჩვენო უსაყვარლესო ბედდამწვარო ანზორიკო, 29 ოქტომბერი შენი დაბადების დღეა. შენმა გაუბედურებულმა ოჯახმა სად უნდა მოგილოცოს დაბადების დღე! რატომ არ მოგცა უფალმა სიცოცხლის ხანგრძლივობა, შენი გეგმები რაც გქონდა ჩაფიქრებული, რომ დაგეწყო მაინც! 2016 წელს უნივერსიტეტს დავამთავრებო, იმავე წელს ჩავაბარებ მაგისტრატურაშიო, ამბობდი. სიცოცხლე გინდოდა, წარმატებები გინდოდა, მომავალი გინდოდა, მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა ჩაგვიქრო შენი სანთელი და სრულიად საღ-სალამათი 22 წლის ვაჟკაცი წამებში გამოგვეცალე ხელიდან. მიკვირს ბებიკო, როგორ ჩამოგრჩი და როგორ ვცოცხლობ ამ ქვეყნად უშენოდ. ჩემს სიცოცხლეს თუ სიცოცხლე ჰქვია!



ჩვენო ანზორიკო, რომ იცოდე, რა უსაშველოდ წრიალებს სევდა. მონატრებად და სიყვარულად ჩამოიღვენთე ჩვენს გულებში. სულში ჩაგვისახლდი და სამუდამოდ ჩვენთან დარჩები. არ ვიცი, ამ გრძნობას რა დავარქვა, მონატრება თუ შენთან ყოფნის დიდი სრუვილი. ჩვენ ხომ ყოველთვის ერთად ვიყავით, ბებიკო. ასე მგონია, ერთი სულით ვსუნთქავდით. დედიკოს მეძახდი, დედის სიყვარულთან გყავდი გატოლებული, მაგრამ რა გაგიკეთე, ვერაფრით ვერ გიშველე, ისე წამებში გამიქრი ხელიდან. შენი აჩრდილი თან დამყვება ყველგან, ყოველთვის თვალწინ მიდგას ჩემი ანზორიკო, ჩემი ვაჟკაცი, ჩემი ულამაზესი, უჭკვიანესი, უკულტურესი, ჩემი ერთადერთი შვილიშვილი... ჩემთვის ყველაზე უბედური დღე, ბებიკო, შენი დაკარგვის დღე იყო. მას შემდეგ ვარ გაუბედურებული, ცოცხლად განადგურებული. ძალიან მენატრები, ბებიკო. მიჭირს უშენოდ გაძლება. ყოველთვის შენთან ყოფნაზე ვოცნებობ. უზომოდ მიყვარხარ, უზომოდ მენატრები.

29 ოქტომბერს მოვალთ შენს საფლავთან, ყველა იმ ადამიანთან ერთად, რომლებიც შენ გიყვარდა, ვისაც შენ უყვარდი და უყვარხარ და მოგილოცავთ შეუსრულებელ 24 წელს. დაგინთებთ წმინდა სანთლებს და უფალს შევთხოვთ, ნათელში გვიმყოფოს შენი სპეტაკი სული!

*შენი გაუბედურებული ოჯახი*

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს ბატონ თამაზ მურღულაიას დედის

**ზინა ბარნაბის ასული სტურუა-მურღულაიას**

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს რკინიგზის დასავლეთის ელექტრომომარაგების სამმართველოს ადმინისტრაცია თანაგრძნობას უცხადებს კობა და რევაზ ზამთარაძეებს დედისა და ბებიის ქალბატონი

**ლიანას**

გარდაცვალების გამო.

---

ვეტერანთა რაიონული კავშირი იუწყება, რომ გარდაიცვალა ქალბატონი

**ზინა ბარნაბის ასული სტურუა-მურღულაია**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

ვაჟა ტერელაძე ოჯახით თანაუგრძნობს თამაზ მურღულაიასა და მერაბ სტურუას დედისა და მამიდის

**ზინა სტურუა-მურღულაიას**

გარდაცვალების გამო.

## აგურის მეფე _ იულიუს კეისარი, ჯვრის მეფე _ ალექსანდრე მაკედონელი, ანუ კარტის ისტორია

თავდაპირველად სათამაშო ბანქო აღმოსავლეთ აზიაში გამოჩნდა. კორეასა და ჩინეთში კარტი მე-12 საუკუნიდან მოიხსენიება. აქ კარტს მართკუთხედის ფორმა ჰქონდა, ხოლო ინდოეთში პირველი კარტი მრგვალი ფორმის იყო.

კარტს უბრალოდ თამაშის გარდა ფოკუსების, მკითხაობისა და ე. წ. პასეანსისთვის იყენებდნენ.

ევროპაში კარტი, სავარაუდოდ, ან აბრეშუმის გზის, ან არაბების საშუალებით ჩამოვიდა და ის მოიხსენიებოდა როგორც "ეშმაკის ლოცვანი". ითვლება რომ კარტის პერსონაჟი გარკვეულ ისტორიულ ფიგურას წარმოადგენს. მაგალითად ყვავის მეფე იგივე ისრაელის მეფე დავით წინასწარმეტყველია, ჯვრის მეფე – ალექსანდრე მაკედონელი, აგურის მეფე – იულიუს კეისარი, ხოლო მეფე გული – კარლოს დიდი.

სანამ მუყაოს კარტი შემოვიდოდა იაპონელებს სპილოს ძვლის თხელი ფირფიტებისგან და ხისგან დამზადებული კარტები ჰქონდათ.

ყველაზე მცირე ზომის კარტები 6,3X8,8 მმ ზომისაა.

ძველად კარტში ყველაზე დაბალი იყო არა ორიანი არამედ ერთიანი, მაგრამ შემდეგ ერთიანი ამოიღეს და პასიანსებში ერთის შესატყვისად ტუზი ითვლება. დღეს კარტის თამაშისას უმეტესად გამოიყენება სტანდარტული, ფრანგული დასტა.




ევროპული კარტის გამოსახულება - 1460 წელი



შენს ავ-კარგს, ჩვენო გაზეთო,
მკითხველი თავად განარჩევს,
ჯილდოს ჯილდოზე რომ იღებ,
რაღას უტოვებ დანარჩენს?




შპს „ქედ-კარგო“ ა/წ 24. 11. 2016, 15 საათზე აწყობს ქალაქ სამტრედიაში გრიბოედოვის ქ. № 55 ა-ში მდებარე პროექტირებადი მეორადი ტყვიის საწარმოს, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის (გ. ზ. შ.-ს) საჯარო განხილვას რუსთაველის ქ. № 29-ში მდებარე ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრში. საკონტაქტო ტელ.: 593 28 75 45. დირექტორი ბატონი ვ. ნადირაძე. პროექტის გაცნობა შესაძლებელია ქალაქ სამტრედიაში ლაშა თევზაძის ქ. № 16-ში.

საკონტაქტო ტელეფონი:
555 62 78 65, პეტრე ბოლქვაძე.

პროექტის გაცნობა და შენიშვნების მიღება 45 დღის განმავლობაში გამოცხადების დღიდან.

შპს „ქედ-კარგო“-ს მინდობილი
დირექტორი შორენა ახალაია.

# ვულოცავთ!

საქართველოს "კონსერვატიული პარტიის" თავმჯდომარეს ბატონ ზვიად ძიძიგურს, ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელს, მებრძოლი სულის მქონე პატრიოტ ადამიანს, ვულოცავთ დაბადების დღეს! ვუსურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერებას, გაერთიანებულ და გაბრწყინებულ საქართველოში ცხოვრებას!

**"კონსერვატიული პარტიის" სამტრედიის რაიონული ორგანიზაცია**

---

**ლინა და ბაკურ ბაკურაძეებს!**

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. სასახელო, საამაყო ქართველად გაგეზარდოთ პატარა ბარბარე.

გამრავლდით და გაიხარეთ!

**ბაბერაშვების ოჯახი**

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839
სამტრედიის მაცნე
დირექტორი ბექან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა